ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

სექტემბერი/2016 ▪ N12

სამინისტროს საქმიანობის ანგარიში — გვ. 2

ოთარ დანელიამ სამინისტროს საქმიანობის ანგარიში წარადგინა

ქართული დელეგაცია აბრეშუმის გზის სამიტზე — გვ. 4

5-8 სექტემბერს, ჩინეთში, შანსის პროვინციის ქალაქ სიანში აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტ 2016-ს და აბრეშუმის გზის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას ქართული დელეგაციის წევრები დაესწრნენ

რთველი 2016 — გვ. 6

კახეთში რთველი აქტიურ ფაზაშია

კახეთის რეგიონის ანგარიში — გვ. 7–10

კახეთის რეგიონში 2013-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

რჩევა ფერმერებისთვის — გვ. 14–15

ვაზის მავნებლები და დაავადებები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს

9 სექტემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე ლევან დავითაშვილი წარადგინა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მინისტრთა კაბინეტში გარკვეული ცვლილება საარჩევნო პროცესს უკავშირდება, ვინაიდან მომავალ არჩევნებში სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია მაჟორიტარული წესით იყრის კენჭს.

„ლევან დავითაშვილი 2 წელია სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა, ხოლო მანამდე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის პოზიციას იკავებდა. ლევანი პროფესიით ეკონომისტია, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრი. ბატონ ლევანს აქვს არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. წლების განმავლობაში მუშაობდა აგრარული დარგის განვითარებისთვის USAID-ის პროექტში; იყო მსოფლიო ბანკის ბიზნესკონსულტანტი. ლევანის სახელთან არის დაკავშირებული ღვინის ექსპორტის კუთხით ბევრი წარმატება. ძალიან მოხარული ვარ, რომ მას წარვადგენ სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე. სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმთავრესი დარგია. დარწმუნებული ვარ, ის წარმატებით გაართმევს თავს არსებულ ამოცანებს “, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01

ოთარ დანელიამ სამინისტროს საქმიანობის ანგარიში წარადგინა

საქართველოს მთავრობის პროექტის „საქართველოს მთავრობა - ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, ოთარ დანელიამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში ბოლო, შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა.

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ასევე, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ოთარ დანელიამ მოწვეულ სტუმრებს აგრარული დარგის განვითარების მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დარგში მიღწეული პოზიტიური შედეგები სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა სწორმა პოლიტიკამ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურმა მხარდაჭერამ და კერძო სექტორის ჩართულობამ განაპირობა.

„მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. შეიქმნა დარგის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჩვენ მიზნად დავისახეთ, შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. ჩვენ დღეს დარგის განვითარების მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე საუბარი შეგვიძლია. ბოლო 4 წელიწადში 10-ჯერ გაიზარდა ბიუჯეტი, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაცემულია 26 000-ზე მეტი სესხი, გაფართოვდა-გადიარაღდა 700 და შეიქმნა 150 ახალი საწარმო; 2013 წლიდან 700 ათასზე მეტი ბენეფიციარი იღებს დახმარებას მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, ხორციელდება აგროდაზღვევის პროგრამა, ჯამში გაცემულია 28 000 პოლისზე მეტი; აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.“, - განაცხადა ოთარ დანელიამ.

გამართულ შეხვედრაზე, სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში, ოთარ დანელიამ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ აგრარული დარგის წინაშე არსებული გამოწვევებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებაც ისაუბრა და ყურადღება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის უზრუნველყოფის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებზე გაამახვილა.

ოთარ დანელიამ დამსწრე საზოგადოებას აგრარსასურსათო სექტორის საქსპორტო შესაძლებლობები, ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით მიღწეული შედეგები და ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის მზარდი ტენდენციების ანგარიში გააცნო.

ოთარ დანელიამ ხაზგასმით აღნიშნა აგრარული დაგის განვითრებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული სამეცნიერო-კველევითი ცენტრის შექმნის, არსებული კვლევითი ბაზების რეაბილიტაციისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშის შეფასებისას აღნიშნა, რომ აგრარული დარგი, ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, მას სოციალური დატვირთვაც აქვს, რადგან ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

„ოთარ დანელიას სწორი მენეჯმენტის შედეგად მიღწეულია სერიოზული შედეგები“, - ასე შეაფასა ანგარიში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ყველას, ვინც დღემდე აღნიშნული წარმატების მიღწევაში მიიღო მონაწილეობა, მადლობა გადაუხადა.

მთავრობის მეთაურმა ოთარ დანელიას საკანონმდებლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მნიშვნელოვანი გამოწვევებია ევროპასთან საკანონდებლო სივრცის ჰარმონიზაციის კუთხით და ოთარ დანელიას პარლამენტში ყოფნა ამ კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

პრემიერ-მინისტრმა ოთარ დანელიას მადლობა გადაუხადა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა გაწეული ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა ოთარ დანელიას, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში მინისტრთა კაბინეტის სხდომას ბოლოჯერ დაესწრო.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ დარგში რეფორმები, ოთარ დანელიასთან ერთად, პარლამენტიდან გაგრძელდება.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რომელიც ქვეყნისთვის უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან მას ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც აქვს.

„ამ მიმართულებით ჩვენ უნდა განვაგრძოთ რეფორმები ოთართან ერთად პარლამენტიდან. ჩვენ ჩასატარებელი გვაქვს უმნიშვნელოვანესი სამუშაო, ქვეყნის საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის ევროპასთან ჰარმონიზაციის კუთხით. ამ მიმართულებით ოთარის კომპეტენცია, გამოცდილება და გაკეთებული წარმატებული საქმეები, ჩვენი რეფორმების შემდგომი წარმატებების ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და ოთარ დანელიას წარმატებები უსურვა.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს აგროსასურსათო სექტორს უზარმაზარ შესაძლებლობას უხსნის

სოფლის მეურნეობის მინისტრი, ლევან დავითაშვილი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა და საქართველოს აგროსასურსათო სექტორისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობამ რეკორდულად მცირე დროში, 7 თვეში მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას, რაც საქართველოდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ღვინის, მინერალური წყლებისა და სხვა აგროპროდუქტების ნულოვანი ტარიფით შესვლას გულისხმობს. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება უზარმაზარ შესაძლებლობას უხსნის საქართველოს აგროსასურსათო სექტორს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის.

„ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა. აღნიშნული შეთანხმება სწორედ აქტიური თანამშრომლობის და პარტნიორობის ნათელი მაგალითია. ქართული აგროსასურსათო პროდუქციისთვის მსოფლიოს უდიდესი ბაზარი (1.4 მილიარდი მომხმარებელი) იხსნება, რაც აგროსასურსათო სექტორისთვის ახალი სუნთქვა და დიდი შესაძლებლობა იქნება. აგროსასურსათო სექტორი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სავაჭრო ბარიერების მიმართ. შესაბამისად, ჩინეთის ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქციის ნულოვანი ტარიფით შესვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ექსპორტის ზრდას“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ლევან დავითაშვილმა ხაზი გაუსვა იმ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას, რაც ჩინურმა მხარემ ქართულ ღვინოსთან მიმართებაში მიიღო. მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულ ღვინოზე ნულოვანი საბაჟო ტარიფი გარდამავალი პერიოდის გარეშე დაწესდება (ზოგიერთ ქვეყანასთან ჩინეთს ღვინის ტარიფის გასანულებლად ათწლიანი გარდამავალი პერიოდი აქვს დაწესებული). აღსანიშნავია, რომ ჩინეთს, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში, ასეთი გადაწყვეტილება არცერთ ქვეყანასთან მიმართებაში არ მიუღია.

საჭირო პროცედურების გავლის შემდეგ, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ამოქმედდება და 2017 წლის მეორე ნახევრიდან ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინო, მინერალური წყლები და აგროპროდუქტები ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე შევა. ეს ნიშნავს, რომ ქართულ ღვინოს საბაჟო გადასახადი (დაახლოებით 40,8 %) მოეხსნება, რაც ბევრად კონკურენტუნარიანს გახდის მას.

მინისტრის განცხადებით, ჩინეთის ბაზარი ტრადიციული ბაზრების რეალური ალტერნატივა უკვე გახდა. პირველად, ქართული ღვინის ექსპორტის ისტორიაში, მიმდინარე წლის აგვისტოში ჩინეთმა ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გაასწრო ისეთ ტრადიციულ ბაზარს, როგორიც უკრაინაა. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კი, ექსპორტის მიმართულებით ნამდვილი გარღვევა მოხდება.

ლევან დავითაშვილმა მედიის წარმომადგენლებს ქართული ღვინის ექსპორტის სტატისტიკაც გააცნო და აღნიშნა, რომ 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 28 156 547 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 42%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთში ზრდამ 184% შეადგინა, განვლილ 8 თვეში ექსპორტირებულია 3 368 361 ბოთლი.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (14 664 610), ჩინეთი (3 368 361), უკრაინა (3 042 192) , ყაზახეთი (2 287 826 ბოთლი) და პოლონეთი (1 367 960).

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისი განცხადებით, აღნიშნული შეთანხმება ისტორიულია და უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველო გახლავთ პირველი ქვეყანა, რომელმაც შეძლო და მოლაპარაკებები რეკორდულ დროში - 7 თვეში დაასრულა. ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა არც ერთ ქვეყანასთან, ვისთანაც ჩინეთს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. პირველმა ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების შედეგად, ქართული პროდუქციის მთლიანი ნომენკლატურის 95.5 % ჩინეთის ბაზარზე ყველანაირი დამატებითი გადასახადების გარეშე შევა.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობა შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთს ექნება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული. მისი განცხადებით, მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ღვინოსა და აგრარულ პროდუქტებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავის პარტნიორ ქვეყანას მისცა შესაძლებლობა, ყველანაირი გარდამავალი პერიოდის გარეშე გაენულებინა საბაჟო ტარიფები. მას შემდეგ, რაც აუცილებელი პროცედურები დასრულდება, მეწარმეები შეძლებენ საქართველოში წარმოებული პროდუქციის შეტანას ჩინეთის ბაზარზე ყველანარი დაბრკოლებისა და საბაჟო ტარიფების გარეშე.

„ჩვენ ვავითარებთ ქართული ღვინის მაღაზიების ქსელს ჩინეთში და ვფიქრობთ, რომ ჩინეთი გახდება ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება და არა მხოლოდ ღვინის, ბევრი სხვა სასაქონლო დასახელების მიმართულებით. ეს არის უდიდესი მიღწევა და ვფიქრობთ, აბრეშუმის გზის პროექტის განვითარებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ექნება”, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შემდგომი პროცედურების თანახმად, მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს ეწვევა ჩინეთის კომერციის მინისტრი, რომლის ვიზიტის დროსაც ხელი მოეწერება მემორანდუმს მოლაპარაკების ოფიციალურად დასრულების შესახებ. შემდეგ შეთანხმების ტექსტი გაივლის ექსპერტიზას, რომელსაც დასჭირდება დაახლოებით ორი-სამი თვე. შესაბამისად, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ხელი მოეწერება. შეთანხმება ძალაში შევა 2017 წლის შუა პერიოდიდან, ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დოკუმენტის რატიფიცირების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაცია:

2015 წლის 10 სექტემბერს, ჩინეთში ქ. დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის პრემიერ-მინისტრებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

2015 წლის 10 დეკემბერს ჩინეთში გამართულ შეხვედრაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებას.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, საქართველოსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკებების 3 რაუნდი და 2 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ბოლო შეხვედრაზე შეთანხმება მოხდა ყველა დარჩენილ საკითხზე. ეს საკითხები იყო: მომსახურებით ვაჭრობა, საქონლით ვაჭრობა, ქართული პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ჩინურ ბაზარზე, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში და დაცვითი ზომები, წარმოშობის წესები, ინსტიტუციონალური დებულებები და გარემოს დაცვის საკითხები.

ქართული დელეგაცია აბრეშუმის გზის სამიტზე

5-8 სექტემბერს ჩინეთში, შანსის პროვინციის ქალაქ სიანში აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტი 2016 და აბრეშუმის გზის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია (2016 Silk Road Business Leadership Summit and Silk road chamber of International Commerce Annual Conference) გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს დელეგაცია დაესწრო, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის რანგში ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობდა. ღონისძიება აბრეშუმის გზის კომერციული პალატის, ჩინეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, შანსის პროვინციის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს და სიანის პროვინციის მთავრობის ორგანიზებით ჩატარდა. ყოველწლიური სამიტი აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელში მდებარე ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობის გააქტიურებას და ერთობლივი ახალი პროექტების გაცნობას ისახავს მიზნად.

აბრეშუმის გზის სამიტი ჩინეთის პრეზიდენტის ინიციატივით შექმნილი ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი კონცეფციის - ერთი ეკონომიკური სარტყელი ერთი გზა - ფარგლებში ყოველწლიურად იმართება.

წლევანდელი სამიტის ფარგლებში, ძირითადი ღონისძიებები ჩინური ჩაისა და ქართული ღვინის უძველეს ტრადიციებს მიეძღვნა. მოეწყო ქართული ღვინის კუთხე, სადაც ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია ჩატარდა. ქალაქ სიანის აბრეშუმის გზის მუზეუმში (Tang West Market Silk Road Museum), აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტისადმი მიძღვნილი გამოფენის ფარგლებში (Trade Fair of Classic Wine&Tea), ქართული ღვინის გამოფენა-გაყიდვაც გაიმართა.

როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, წლევანდელ სამიტზე საქართველო სპეციალური სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული.

„უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის გზის ეკონომიკური თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს და პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება. ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინო სულ უფრო პოპულარული ხდება და აქტიურად იმკვიდრებს ადგილს. ამას მოწმობს ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა (2016 წლის 8 თვის მონაცემებით, ჩინეთში ექსპორტირებულია 3 368 361 ბოთლი ღვინო). სამიტის ფარგლებში, ჩვენ ქართული ღვინის კუთხე მოვაწყვეთ, სადაც დამთვალიერებელს ქართული ღვინის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდა. გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები ქართველ მწარმოებლებსა და ჩინელ იმპორტიორებს შორის და იმედია, მათი თანამშრომლობა შედეგიანი და წარმატებული იქნება“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტში 40 ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ბიზნესსექტორისა და კერძო კომპანიების წარმომადგენელები მონაწილეობდნენ. ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთსა და ვიეტნამში დავით აფციაურის განცხადებით, ქალაქი სიანი აბრეშუმის გზის საწყის წერტილს წარმოადგენს. ჩინეთის რესპუბლიკაში შანსის პროვინცია, კერძოდ ქალაქი სიანი მაღალი რანგის საერთაშორისო ფორუმების, კონფერენციების და სამიტების გამართვის კუთხით გამორჩეულია. ბოლო წლებში საქართველო ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობს.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმი, სადაც საქართველო წარმოდგენილია სპეციალური სტუმრის სტატუსით და, შესაბამისად, შემუშავებულია სპეციალური პროგრამა საქართველოს მონაწილეობით. ყველა ამ ღონისძიების ცენტრალური თემა ქართული ღვინოა. ქართული ღვინო ჩინურ ბაზარზე ძალიან აქტიურად იკვლევს გზას. ფორუმის ფარგლებში მოწყობლ ქართულ ექსპოზიციას არა მხოლოდ ბიზნესწრეების წარმომადგენლები სტუმრობდნენ, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ჟურნალისტები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართული ღვინის შესახებ ცობადობის ზრდას“, - აღნიშნა დავით აფციაურმა.

აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტზე საქართველოს დელეგაციას საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, საქართველოს საპარტნიორო ფონდის, საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს რკინიგზის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები, ასევე, აბრეშუმის გზის სავაჭრო-კომერციული პალატის ვიცე-თავმჯდომარე, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის საპატიო თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ადამ ჰუანგი წარმოადგენდნენ.

ქართული ღვინის მორიგი აღიარება ჩინეთში

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია აბრეშუმის გზის ბიზნესსამიტი 2016-ის და აბრეშუმის გზის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართულ ღონისძიებას - Historical Cheers - Display of Chinese Tea Culture and Georgian Wine Culture - დაესწრო, რომელიც ქართული ღვინისა და ჩინური ჩაის კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენას ისახავდა მიზნად. საზეიმო მიღებას სამიტისა და კონფერენციის მონაწილეები, ასევე მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა ღონისძიებაზე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ხაზგაზმით აღნიშნა ბოლო წლებში უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესახებ. ბოლო წლებში ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. თავის გამოსვლაში ლევან დავითაშვილმა საქართველოს საინვესტიციო გარემოზე და ბოლო წლებში სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანასთან მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

ღონისძიების გახსნის მთავარი ნაწილი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ვიდეომიმართვა, რომელიც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ამ მიმართულებით აბრეშუმის გზის სამიტის მნიშვნელობას შეეხებოდა.

აბრეშუმის გზის კომერციული პალატის დამფუძნებელმა თავმჯდომარემ, ლუ ძიენჟონგმა (Lu Jianzhong) აბრეშუმის გზის კომერციული პალატის მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებით კი საქართველოს პრემიერს.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელმაც საგანგებოდ სამიტის სტუმრებისთვის საქართველოდან ვიდეომიმართვა გამოგვიგზავნა. ჩვენ აპრილის თვეში ვიყავით საქართველოში და შევხვდით პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტს. მოვაწყვეთ ჩვენი სამომავლო პროექტების პრეზენტაცია და მათი მხარდაჭერაც მივიღეთ. 2016 წლის სამიტზე საქართველო სპეციალური სტუმრის სტატუსით იმყოფება. წელს, ღონისძიების ფარგლებში, ქართული ღვინის კუთხე იყო ერთადერთი კომერციული პროექტი, რადგან გარდა დეგუსტაციისა, მსურველებს ქართული ღვინის შეძენა ადგილზე შეეძლოთ. ეს გამოფენა საქართველო-ჩინეთის დამეგობრების კიდევ ერთი საშუალებაა. დღევანდელ სამიტს მაღალი რანგის სტუმრები ჰყავს. ღონისძიებას 52 ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატების, დიპლომატიური მისიების, ჩინეთის მთავრობის და მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებიან. აღნიშნული სამიტი საკმაოდ მაღალი დონისაა და შესაბამისად, კარგი საშუალებაა ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის. სამიტის ფარგლებში მოწვეული არიან ჩინეთის რესპუბლიკის ყველაზე მსხვილი იმპორტიორები და გვსურს, მათ ადგილზე გავაცნოთ ქართულ ღვინო. ჩვენი ინიციატივით, მიმდინარე წლის ივლისში ქალაქ შანხაიში ჩატარდა ღონისძიება, სადაც ელექტრონულ პორტალზე (e-commerce china Market) განთავსდა ქართული ღვინო და უნდა აღვნიშნო, რომ გასაოცარი შედეგი მივიღეთ - ერთ დღეში 300 ათასი ბოთლი გაიყიდა. ამ ღონისძიებას საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილიც ესწრებოდა“, -განაცხადა აბრეშუმის გზის კომერციული პალატის დამფუძნებელმა თავმჯდომარემ.

სამიტის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს დელეგაციის წევრებმა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთსა და ვიეტნამში დავით აფციაურმა და აბრეშუმის გზის სავაჭრო კომერციული პალატის ვიცე- თავმჯდომარემ, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის საპატიო თავმჯდომარემ, ჯემალ ინაიშვილმა.

საზეიმო მიღებაზე ჩინელმა მსახიობებმა ტრადიციული ცეკვები და მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს. დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება და დიდი მოწონება დაიმსახურა ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავეების მიერ შესრულებულმა ქართულმა ტრადიციულმა ცეკვებმა.

ღონისძიება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის (CCTV) ეთერით, რომელსაც ასობით მილიონი მაყურებელი ჰყავს.

საზეიმო მიღებას საქართველოს დელეგაციის წევრები, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პალატის, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, საქართველოს საპარტნიორო ფონდის, საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს რკინიგზის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ადამ ჰუანგი ესწრებოდნენ.

რთველი - 2016 კახეთში



საქართველოს მევენახეობის უმთავრეს რეგიონში, კახეთში რთველი წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ვაზი განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას და უდიდეს შრომას საჭიროებს, რთველი მაინც ტრადიციული, ოჯახური დღესასწაულია, რომელიც ერთნაირად უხარია დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, სტუმარსაც და მასპინძელსაც.

საქართველოს ხელისუფლებამ, 2013 წლიდან კახეთის რეგიონში განახორციელა წარმატებული პროგრამები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი რთველი და ვენახების კადასტრია. სუბსიდირებისა და აგროსესხების თვისობრივად განსხვავებული სისტემის გატარებით, სახელმწიფომ მოახდინა კერძო სექტორის სტიმულირება, მიეღოთ და გადაემუშავებინათ რაც შეიძლება მეტი ოდენობის ხარისხიანი ყურძენი.

2013-2014-2015 წლებში კახეთის რეგიონის მოსახლეობამ, ღვინის საწარმოებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლების სახით 400 მლნ-მდე ლარი მიიღო.

2013 წლიდან დაინერგა ჩაბარებული ყურძნის ონლაინ რეჟიმში აღრიცხვისა და სისტემატიზირების პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა ყურძნის ჩამბარებელ თითოეულ პუნქტში ოპერატორმა ელექტრონულ ბაზაში შეიყვანოს სრული ინფორმაცია ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირისა და ყურძნის მიმღები ღვინის კომპანიის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობის, ჯიშისა და ფასის შესახებ - ეს ყველაფერი ამარტივებს ყურძნის ჩაბარების პროცესს.

მოსავალს წელსაც უხვს ელოდებიან კახეთში, სავარაუდოდ, 200 ათას ტონამდე. აქედან, 134,3 ათას ტონამდე რქაწითელი, 54,4 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე კახური მწვანეა.

საქართველოს მთავრობამ მევენახე გლეხების ინტერესის გათვალისწინებითა და ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რთველი 2016-ის ფარგლებში სუბსიდიის გაცემის გადაწყვეტილება მიიღო. გასული წლის მსგავსად, სახელმწიფო სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე. ღვინის კომპანიებში ჩაბარებულ ყურძენზე სუბსიდია გაიცემა შემდეგი ოდენობით: კახეთის რეგიონში:

- 1 კგ რქაწითელი - 45 თეთრი
- 1 კგ კახური მწვანე - 45 თეთრი
- 1 კგ საფერავი - 20 თეთრი

რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, აგვისტოს ბოლოს საკოორდინაციო შტაბი თელავში გაიხსნა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია როგორც მევენახეების, ასევე მეწარმეების ინტერესის გათვალისწინება. რთველის პროცესში მათი ინტერესები დაცული იქნება.

მიმდინარე წელს კახეთის რეგიონში, შარშანდელის მსგავსად, დაახლოებით 148-150 ათასი ტონა ყურძნის სამრეწველო გადამუშავებას ველოდებით. ხელისუფლებას აქვს სრული მზადყოფნა, რომ წლევანდელი რთველი ორგანიზებულად და შეუფერხებლად წარიმართოს. სახელმწიფოს მიზანია, რომ არცერთ მევენახეს არ დარჩეს ჩაუბარებელი ყურძენი. წელს, ყურძენს 100-მდე ღვინის კომპანია ჩაიბარებს.

წარმოების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიებისათვის გრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სესხების გაცემა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ფერმერებისაგან ყურძნის შეძენის მიზნით, შეღავათიანი აგროკრედიტის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა 10 მლნ ლარით, არაუმეტეს 15 თვის ვადით. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც ყურძენს შეისყიდიან საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით, გაიცემა შეღავათიანი აგროკრედიტი არაუმეტეს 15 მლნ ლარის ოდენობით. სესხის მაქსიმალური ვადა განისაზღვრა 3 წლის ვადით.

რთველი 2016-ის საკოორდინაციო შტაბს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ხელმძღვანელობს. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, გლეხი ჩაბარებული ყურძნის საფასურს ყურძნის ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებსა და სერვის ცენტრებში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს. მევენახემ ბანკს თანხის ასაღებად 15 დეკემბრამდე უნდა მიმართოს. ყურძენს, რომლის რეალიზაციასაც მევენახე ვერ შეძლებს, ჩაიბარებს სახელმწიფოს მიერ იჯარით აღებული ღვინის ქარხნები.

მევენახე თავად წყვეტს, ღვინის რომელ ქარხანაში ჩააბაროს ყურძენი და თავად აწარმოებს მოლაპარაკებებს ყურძნის შემსყიდველთან ჩასაბარებელი ყურძნის ფასზე, გადახდის პირობებსა და ვადებზე. სახელმწიფო არ ერევა ორ კერძო სუბიექტს შორის ურთიერთობებში, სახელმწიფო არ ერევა არც ფასების რეგულაციაში - ყურძნის ღირებულებას არეგულირებს ბაზარი.

საკოორდინაციო შტაბი თელავში, სახელმწიფო უწყებებს, მეწარმეებსა და მევენახეებს შორის აქტიური კომუნიკაციის მიზნით, 24 საათიან რეჟიმში მუშაობს.

გასული წლების მსგავსად, ერთიან ელექტრონულ ბაზაში ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში ღვინის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტ-გვერდებზე: www.georgianwine.gov.ge, www.rtveli2016.gov.ge შეეძლება. დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1501

წელს არის ერთი სიახლეც. 2016 წლის რთველში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს დარეგისტრირება შეუძლიათ ელექტრონულად, რთველის საკოორდინაციო შტაბში გამოცხადების გარეშე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით: http://winebalance.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f

ასევე, სოფლის რწმუნებულები მევენახეებისთვის ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობის გაცემას შეძლებენ სააგენტოს ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: http://governor.georgianwine.gov.ge/LogOn?ReturnUrl=%2f

იმისთვის, რომ ქართული ღვინის გასაღების ბაზარი გაფართოვდეს და გლეხს არ შეექმნას ყურძნის რეალიზაციის პრობლემა, ბოლო 4 წლის მანძილზე მთავრობის საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტი გახდა ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მისი ცნობადობის ამაღლება დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და სემინარების ორგანიზების ხელშეწყობითა და მონაწილეობით.

სააგენტოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, კახეთის რეგიონში არსებულმა ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ ასობით ღვინის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში, კონკურსებსა და დეგუსტაციებში ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე, ჩინეთში, აშშ-ში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა.

კახეთში მოეწყო ათეულობით ღვინის ტური საქართველოში ჩამოსული ღვინის პროფესიონალებისა, თუ იმპორტიორებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. რეგიონში ტარდება ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმები (2013, 2015), 2014 წელს დაფუძნდა ღვინის საერთაშორისო ყოველწლიური ფესტივალი „თელავინო“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამის განხორციელება კახეთში, კერძოდ, ყვარლის რაიონში 2015 წელს დაიწყო. პროგრამა მოიცავს ვენახების ფართობების აღრიცხვას, რეგისტრაციას, პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების - საზღვრების დაზუსტებასა და მევენახეობის კადასტრის წარმოებას. კადასტრის ერთიანი სისტემა წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის ხარისხობრივი მდგომარეობის დინამიკას.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადაწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

პროგრამა ეტაპობრივად კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

კახეთის რეგიონი
2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები

პროექტების მართვის სააგენტო

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

2016 წელს, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში 101,685 ბენეფიციარმა, დღეის მდგომარეობით, 6,720,438 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო. დამუშავდა 38,482 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2015 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 100,650 ბენეფიციარებმა მიიღო 7,761,410 ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 45,995 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2014 წელს კახეთის რეგიონში, პროექტის ფარგლებში, განისაზღვრა 99,486 ბენეფიციარი. ბენეფიციარებმა 10,976,887 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღეს. ჯამში 45,160 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი დამუშავდა.

2013 წელს, ამავე პროექტის ფარგლებში, 110,343 ბენეფიციარმა 40,397,349 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღო. ჯამში დამუშავდა 43,317 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

პროექტის მიზანი:

პროექტის მთავარი მიზანი იყო, სოფლად მცხოვრები იმ ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე, მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ, ხვნის პროცესში დახმარებოდა.

პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე.წ. „აგრობარათი“.

სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 31.07.2016 წლის მდგომარეობით, კახეთში გაიცა:

- საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით: 236,382,999 ლარის ღირებულების 4,779 სესხი, 14,681,599 დოლარის ღირებულების 28 სესხი
- ძირითადი საშუალების მიზნობრიობით: 189,042,411 ლარის ღირებულების 6,510 სესხი, 70,224,895 დოლარის ღირებულების 853 სესხი
- აწარმოე საქართველოს ფარგლებში: 1,340,000 დოლარის ღირებულების 1 სესხი
- შეღავათიანი აგროლიზინგი: 476,712 დოლარის ღირებულების 4 ლიზინგი

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში, ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით: ყურძნის შესყიდვა-გადამუშავება, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, ღვინის წარმოება, მევენახეობა.

პროექტის მიზანი:

აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. დღეისათვის, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ 13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაციაა ჩართული.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი.

პროგრამა „დანერგე მომავალი“

კახეთის რეგიონში, პროგრამის ფარგლებში, დამტკიცებულია 33 პროექტი. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 916,947 ლარი. ბაღების გასაშენებელი ფართობი შეადგენს 258 ჰა-ს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში გაშენებული ფართობის ყველაზე დიდი წილი უკავია კაკლის, თხილის, ნუშის, ბროწეულის ბაღებს.

პროექტის მიზანი:

საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა.

აგროდაზღვევის პროგრამა

კახეთის რეგიონში 2014-2015 წლებში გაცემულია 5,439 პოლისი. დაზღვეულია 101,528,421 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 11,360 ჰა მიწის ფართობი. ჯამში, სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 7,620,671 ლარი.

2016 წლის ივლისის მდგომარეობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კახეთში გაცემულია 5,860 პოლისი. დაზღვეულია 53,293,808 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეული მიწის ფართობი შეადგენს 6,821 ჰა. სააგენტოს გადასახდელი პრემია შეადგენს 2,980,099 ლარს.

პროექტის მიზანი:

აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს.

აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი

კახეთის რეგიონში დამტკიცებულია 2 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 1,463,809 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 388,320 აშშ დოლარი. პროექტი ემსახურება სანედლეულო ბაზის განვითარებასაც.

პროექტის მიზანი:

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. პროექტი ემსახურება სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

ახალი და გაფართოებული საწარმოები

კახეთის რეგიონში გაიხსნა 51 ახალი საწარმო და გაფართოვდა 303 საწარმო.

51 ახალი საწარმო (49 შეღავათიანი აგროკრედიტი, 1 „აწარმოე საქართველოში“, 1 თანადაფინანსება) სრული ინვესტიცია - 46,615,683 აშშ დოლარი, საკუთარი წილი - 31,437,428 აშშ დოლარი, შეღავათიანი აგროკრედიტი - 15,039,935 აშშ დოლარი, გრანტი - 138,320 აშშ დოლარი.

სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიზანია ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა სხვადასხვა მავნებელ-დაავადებისგან, ასევე მცენარეთა დაცვის საშუალებების ხარისხის კონტროლი და რეგისტრაცია. ყველაზე ნიშვნელოვანი მისია კი, ადამიანების სოცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვაა, რომელსაც სააგენტო მომხმარებლისთვის უვნებელი სურსათის მიწოდების გზით ახორციელებს.

სურსათის ეროვნული სააგენტო მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგიონული სამმართველოების მეშვეობით ახორციელებს.

სურსათის უვნებლობის სპეციალისტები, ვეტერინარები და მცენარეთა დამცველები დასაქმებული არიან თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. 2012-2014 წლებში, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოფისები თელავსა და ყვარელში. სააგენტოს რეგიონულ სამსახურში მუდმივად დასაქმებულია 41 თანამშრომელი, 93-ხელშეკრულების საფუძველზე. რეგიონში მოქმედ 13 სასკლაოზე 13 ვეტერინარი მუშაობს.

სურსათის უვნებლობა

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, კახეთში აქტიურად ხორციელდება სამომხმარებლო ბაზრის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების და სასწავლო დაწესებულებების კონტროლი. ინსპექტირებისას გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, რეგიონში არსებული საბავშვო ბაღების უმეტესობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სურსათის უვნებლობის სტანდარტები. მოწესრიგდა ჰიგიენური მდგომარეობა, მათ შორის, პერსონალის ჰიგიენა, სურსათის ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, რეცხვა-დეზინფიცირება. განსაკუთრებით გააქტიურდა იმ ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლი, რომლებიც სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების კვების ბლოკებს მალფუჭებადი პროდუქტებით ამარაგებენ.

- რეგიონში ფუნქციონირებს 13 სასაკლაო, სადაც მიმდინარეობს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვა. 2016 წელს, კახეთის რეგიონში მოქმედ ცხოველთა სასაკლაოებში სულ დაიკლა: 32 980 ფრთა ფრინველი და 23 738 სული ცხოველი, მათ შორის: 16 425 მსხვილფეხა პირუტყვი, 4810

http://apma.ge/projects/read/project_scope/12:parent (ინფორმაცია სრულად)

კახეთის რეგიონი
2013–2016 წლებში განხორციელებული პროექტები

ღორი, 2503 წვხილფეხა პირუტყვი, რაზეც გაიცა 24 496 ვეტერინარული მოწმობა N 2.

- სურსათის ეროვნული სააგენტოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ მოეწყო შეხვედრები კახეთის რეგიონის სხვადასხვა სფეროს სურსათის ბიზნესოპერატორთან (მეფრინველეობის მიმართულება, ცხოველთა სასაკლაოები, რძის სექტორი, ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელი ბიზნესოპერატორები, მეფუტკრე ფერმერები).

ვეტერინარული ღონისძიებები

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სავალდებულო, პროფილაქტიკური ვაქცინაციების შედეგად, მიმდინარე წელს, კახეთის რეგიონში ჯილეხით დაავადების მხოლოდ ერთი შემთხვევა აღინიშნა. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ცხოველთა ჯანმრთელობის და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით. მიმდინარეობს პროფილაქტიკური ვაქცინაცია შემდეგ დაავადებებზე:

- თურქული
- ჯილეხი
- ცოფი
- 2014 წლიდან, მსხვილფეხა პირუტყვი იცრება ნოდულარული დერმატიტის, ხოლო წვრილფეხა პირუტყვი - თხისა და ცხვრის ყვავილის საწინააღმდეგოდ
- 2016 წელს განხორციელდა წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია
- 2014-2015 წლებში ჩატარდა ბრუცელოზის სერომონიტორინგი (სისხლის ნიმუშების აღება), ბრუცელოზთან ბრძოლის მიზნით, ცხოველთა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა „ბრუცელოზთან ბრძოლის მრავალწლიანი სტრატეგია“, რომელიც რიგ კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს. 2016 წელს დაგეგმილია ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ 60 873 სული მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია.
- 2012 წელს დაიწყო და გრძელდება ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, რაც ითვალისწინებს ცხოველების საყურე ნიშნით ნიშანდებას და ერთიან ბაზაში შეყვანას, რაც უზრუნველყოფს ცხოველების აღრიცხვიანობას და მიკვლევადობას. 2012 წლიდან დღემდე, იდენტიფიცირებულია 253 693 სული მსხვილფეხა პირუტყვი.
- 2015 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია.
- დაავადების დაფიქსირების (ჯილეხი, ცოფი) შემთხვევაში, ინფექციის კერებში ხორციელდება დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები (ვაქცინაცია, დეზინფექცია და სხვა).

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ამ აქტივობების შედეგად, შემცირდება ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების გამოვლენის შემთხვევები, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ადამიანისა და ცხოველის საერთო, გადამდები დაავადებების - ცოფის, ბრუცელოზის, ჯილეხის გამოვლენის საშიშროება. ამავდროულად, გაუმჯობესდა ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა, რაც პირდაპირ აისახება მესაქონლეობის განვითარებასა და გლეხების შემოსავალზე.

მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვის პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში ახორციელებს ყოველწლიურ ღონისძიებებს იტალიური კალიის და ამერიკული თეთრი პეპლის მასობრივი გავრცელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც, მინიმუმამდე მცირდება აღნიშნული მავნებლების საზიანო ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და მთლიანად მწვანე საფარზე.

2012-2015 წლებში, კახეთის რეგიონში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, გურჯაანი, საგარეჯო) განსაკუთრებით საშიში მავნებლების, ასევე ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების (კოღო) წინააღმდეგ სააგენტომ მასშტაბური ღონისძიებები ჩაატარა.

2012 წელს კალიების წინააღმდეგ დამუშავდა 12017 ჰექტარი. 2013 წელს - 23621 ჰექტარი, 2014 წელს - 39 000 ჰექტარი. 2015 წელს კალიების წინააღმდეგ დამუშავდა 26 300 ჰექტარი. კოღოების წინააღმდეგ დამუშავდა 1500 ჰექტარი, ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ დამუშავდა 90 ჰექტარი. მიმდინარე წელს კალიების წინააღმდეგ შეიწამლა 40 000 ჰექტარი. ასევე, ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარდა სალიკვიდაციო ღონისძიებები.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბაზარზე განთავსებული პესტიციდების და აგროქიმიკატების ნიმუშის აღება და ხარისხის ლაბორატორიული შემოწმება უზრუნველყოფს ფალსიფიცირებული, მოძველებული და უხარისხო პრეპარატების ქსელიდან ამოღებას.

მუდმივად მიმდინარეობს რეგიონში არსებული სარეალიზაციო ქსელში განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი, ნიმუშების აღება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში შემოწმება.

მევენახეობის ძირითად ზონებში მეტეოსადგურების განთავსება

კახეთის რეგიონში, თელავის, გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებულია 14 ერთეული მეტეოსადგური. აღნიშნული სისტემა გამოიყენება ვაზის ძირითადი დაავადებების ადრეული პროგნოზირებისათვის და წამლობათა ოპტიმიზაციის მიზნით, რაც საშუალებას იძლევა, მათ წინააღმდეგ დაიგეგმოს და ეფექტიანად გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება ღვინის ქარხნებს და დაინტერესებულ პირებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

კახეთის რეგიონში რეგისტრირებულია 154 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

ახმეტა - 23, დედოფლისწყარო - 8, გურჯაანი - 19, თელავი - 32, ლაგოდეხი - 9, საგარეჯო -31, სიღნაღი - 10, ყვარელი -22.

კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საქმიანობენ მევენახეობის, მეხილეობის, მემარცვლეობის, მეფუტკრეობის მიმართულებით.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში 40 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 86 აგროკომპლექტი და 3 ხელის სათესი.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაიცა 580 სკა, 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 2 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი). 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მიიღებს 500 სკას, 2 ერთეულ თაფლის საწურს (ციბრუტს) და ჯამურად 6600 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახ ავზებს.

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში რძის მცირე საწარმო მოეწყობა.

შპს საქართველოს მელიორაცია

2013 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით განხორციელებული სამელიორაციო სისტემების 122 სარეაბილიტაციო პროექტის შედეგად, დღეისათვის წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყანაში 110 040 ჰექტარს შეადგენს, ხოლო დამშრობი სისტემები 31 575 ჰექტარს ემსახურება.

განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა კახეთის რეგიონში, სადაც მიწების ჰიდრომელიორაცია სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ათწლეულების განმავლობაში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი რეგიონში მწყობრიდან გამოდიოდა და ნადგურდებოდა. შედეგად, 2012 წელს, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი კახეთში 6 100 ჰექტარს შეადგენდა, სადრენაჟე მომსახურება კი, არ ხდებოდა. უკანასკნელ წლებში, რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 30 სარეაბილიტაციო პროექტის შედეგად, დღეისათვის, 14 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია წყალუზრუნველყოფილი, ხოლო სადრენაჟე სისტემები 3 925 ჰექტარს ემსახურება. სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში, რეგიონში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 403 კმ სამელიორაციო არხს. მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა ასევე, ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში, მოწესრიგდა 455 კმ სამელიორაციო არხი.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

საქართველოს მიერ ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით“ მიღებული ვალდებულებების შედეგად, საჭირო გახდა საერთაშორისო დონის ლაბორატორიის შექმნა.

2014 წლის მარტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო და ISO 17 025 სტანდარტი დაინერგა, რაც საერთაშორისოდ აღიარებულს ხდის ყველა იმ გამოკვლევის შედეგს, რომელსაც ლაბორატორია ჩაატარებს. ლაბორატორიაში დანერგილია ISO 9001:2008 მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემაც.

ლაბორატორიის შესაძლებლობების სამივე მიმართულებით (ცხოველთა, მცენარეთა და სურსათის დიაგნოსტირებისათვის) სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, მოხდა აპარატურის შეძენა/განახლება მთლიანად ლაბორატორიულ ქსელში.

გურჯაანის ლაბორატორია

განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები:

- 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ცდილობს რეგიონულ დონეზე ლაბორატორიული კვლევების სპექტრის გაფართოებას, არსებული მეთოდების განვითარებას და ახლის შემუშავებას აკრედიტაციის სფეროში დასამატებლად. მსგავსი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია რეგიონული ლაბორატორიისათვის, ვინაიდან, საშუალებას იძლევა მოსახლეობამ შესაბამისი დონის სერვისი ადგილზევე და ნაკლები ძალისხმევის ხარჯზე მიიღოს.
- 2014 წლიდან მოხდა გურჯაანის ლაბორატორიის გაძლიერება სურსათის კვლევის მიმართულებით; კერძოდ, დაინერგა სურსათისა და წყლის, როგორც მიკრობიოლოგიური, ასევე ქიმიური კვლევები;
- 2015 წლიდან წარმოებს მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა;
- მააკრედიტებელი ორგანოს - ANAB-ის მიერ - 2016 წლის იანვარში განხორციელებულ სააკრედიტაციო ვიზიტის პროგრამაში გურჯაანის ლაბორატორიამ საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა დაამტკიცა;

სააკრედიტაციო სფერო მოიცავს:

- 7 მეთოდს სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური კვლევებისათვის;
- 7 მეთოდს სურსათისა და წყლის ზოგადქიმიური კვლევებისათვის;
- 3 მეთოდს ვეტერინარული დაავადების დიაგნოსტიკისათვის (ჯილეხი, ბრუცელოზი, კალიფორნიული მასტიტი);
- 2016 წლისთვის, გურჯაანიის ლაბორატორიისათვის შემუშავდა პარაზიტულ დაავადებებში პერსონალის გადამზადების პროგრამა;
- 2016 წლის ივლისში დაინერგა ბრუცელოზის დამადასტურებელი დიაგნოსტიკა ფლუორესცენტული პოლარიზაციის მეთოდით (FPA), რომელიც საშუალებას იძლევა გამოკვლეული შედეგი იყოს უფრო ზუსტი და სარწმუნო;

კახეთის რეგიონი
2013–2016 წლებში განხორციელებული პროექტები

- გრძელდება ცხოველთა დაავადებების (მათ შორის, განსაკუთრებით საშიში ინფექციების) პირველადი დიაგნოსტიკა;
- ამჟამად, გურჯაანის რეგიონულ ლაბორატორიაში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სარემონტო სამუშაოები; ახალი ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა ბიზნესოპერატორებისათვის და ფერმერებისათვის ადგილობრივად განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კვლევები.

სტატისტიკა

- გურჯაანის ლაბორატორიას, 2016 წლის 8 თვის მდგომარეობით, დამუშავებული აქვს 11 790 ნიმუში, როგორც ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაში, ასევე წყლის მიკრობიოლოგიურ და მცენარეთა პათოგენების კვლევაში.
- გურჯაანის ლაბორატორიას 2015 წელს დამუშავებული აქვს 43 025 ნიმუში, როგორც ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაში, ასევე წყლის მიკრობიოლოგიურ და მცენარეთა პათოგენების კვლევაში.
- 2014 წლის მონაცემებით, გურჯაანის ლაბორატორიაში სულ შემოსულია 71 252 ნიმუში.
- 2013 წელს, გურჯაანის ლაბორატორიაში სულ შემოვიდა 5046 ნიმუში.

SRCA

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მეცხოველეობა

კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ დედოფლისწყაროს, თელავის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების მეცხოველეობის ფერმებში გამოკვლეულ იქნა 165 მაღალპროდუქტიული, ინტროდუცირებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთაც ბაგურ პირობებში ინახავენ. დადგინდა, რომ ისინი არ იყვნენ დაინვაზიებულნი (დაავადებულნი) ჰელმინთებით.

კახეთის რეგიონის სოფლებში, კოპროლოგიურად იქნა გამოკვლეული 104 ღორის სინჯი. გამოვლინდა ოთხი ჰელმინთოზური დაავადება, რომლის აღმძვრელებით დაინვაზიებული იყო 73 სული (70,2%); მათგან, ასკარიდებით - 21 (2,2%), ეზოფაგოსტომებით - 53 (50,9%), ტრიქოცეფალუსებით - 11 (10,6 %) და მეტასტრონგილუსებით - 5 (4,8%).

თეთრიწყაროსა და დედოფლისწყაროს ფერმერულ მეურნეობებში დაიწყო კვლევები ადგილობრივი ქათმის, ინდაურის, იხვის, ბატისა და ხოხბის ზრდის დინამიკის, კვერცხის ფიზიკური თვისებებისა და ინკუბაციის მაჩვენებლების დასადგენად.

მიმდინარე წელს ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე ბურსას ხეობაში არსებულ მეღორეობის ფერმაში წინასწარ ჩატარებული მოძიებითი სამუშაოებისა და სპეციალური გამოკვლევების შედეგად, შეირჩა კახური ჯიშის 4-6 თვის ასაკის 12 ბურვაკი, რომელიც გადმოყვანილია კრწანისის მეცხოველეობის დროებით საცდელ ფერმაში შემდგომი კვლევების ჩასატარებლად.

გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სოფლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ჰელმინთოზური (პარაზიტული ორგანიზმებით გამოწვეული) დაავადებათა შესწავლის მიზნით, აღებულ იქნა კოპროლოგიური სინჯები, რომელთა გამოკვლევით გაირკვა, რომ გურჯაანის სოფლებში პარამფისტომებით დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელი შეადგენს 51.3%-ს, სიღნაღის სოფლებში კი - 24.3%-ს.

დანარჩენი ჰელმინთებით პირუტყვის დაინვაზიების მაჩვენებელი უმნიშვნელოა. სოფელ გურჯაანსა და სოფელ მაღაროში გამოკვლეული ღორის სულადობა დაინვაზიებული იყო მხოლოდ ეზოფაგოსტომებით.

მეცხვარეობის განვითარების მიმართულებით ექსპერტული მეთოდით გამოკვლეული და დადგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საძოვრებზე მყოფ ფარებში მოძიებული, გადაშენების ზღვარზე მყოფი 19 სული ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი და 18 სული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრების მატყლის სინაზის მაჩვენებელი.

ერთწლოვანი კულტურები

2014-2016 წლებში, თელავის (გულგულა), საგარეჯოს (დუზაგრამა), ახმეტის (ხორხელი), გურჯაანისა (მელაანი) და დედოფლისწყაროს (შირაქი) მუნიციპალიტეტებში გაშენდა სხვადასხვა კულტურის ჯიშთა შერჩევის, სელექციური, საკოლექციო და სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც მიმდინარეობს მარცვლოვანი კულტურების - ხორბლის, ქერისა და სიმინდის, ასევე, ერთწლოვანი კულტურების ნათესებზე მონიტორინგი, აღმონაცენის ზრდა-განვითარების ინტენსივობის დადგენა, ნათესების მდგომარეობის შეფასება და მცენარეებზე ფენოლოგიური დაკვირვება. სეზონურად ტარდება აგროვადებით დადგენილი სამუშაოები.

მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის მიღების ტექნოლოგიის დამუშავების მიზნით, საქართველოში გავრცელებული საწარმოო და ისტორიული ქართული ჯიშებისა (ვარძია, საული 9, ლომთაგორა 126, ახალციხის წითელი დოლი, თეთრი დიკა, შავფხა) და საერთაშორისო სანერგეეებიდან გამორჩეული პერსპექტიული ფორმების ელიტური თესლის მისაღებად, გამრავლებისა და პირველადი მეთესლეობის სანერგეები დაითესა კახეთის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში (დედოფლისწყარო, საგარეჯო, თელავი, ახმეტა).

ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მაღალმოსავლიანი ქართული ჰიბრიდების „წეროვანი1“-ის და „ყაზბეგის“ მშობელი ხაზებისა და ჰიბრიდული თესლის წარმოება.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ ბაზებზე კახეთის რეგიონის 2 მუნიციპალიტეტში (ახმეტა, დედოფლისწყარო), წარმოებაში გავრცელების მიზნით, მიმდინარეობს ქართული ხორბლის ჯიშ-პოპულაციების გამრავლება, რომლებიც გამოირჩევიან მარცვლის მაღალი ხარისხობრივი და გემური თვისებებით (ახალციხის წითელი დოლი, თეთრი დიკა, შავფხა).

მევენახეობა-მეღვინეობა

ხაშმის მევენახეობის სპეციფიკური მიკროზონის შესწავლის მიზნით, კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ მოწყობილი იქნა ორი ექსპედიცია ხაშმში, რის შედეგადაც, მოხდა ადგილზე არსებული მდგომარეობის აღწერა, მომზადდა ფოტომასალა, შედგენილია მონაცემთა ბაზა. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება მევენახეობის პერსპექტიული სპეციფიკური მიკროზონების დადგენა-შესწავლას ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების გაფართოების მიზნით.

ბიოაგროწარმოების მიმართულება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამაში მიმდინარეობს კვლევა, სადაც ახალი ბიოტექნოლოგიების და ბიოპრეპარატების კვლევის პროცესში იცდება 30-მდე სხვადასხვა ადგილობრივი და უცხოური პრეპარატი. ბიოაგროწარმოების სამსახურის კვლევებში გამოყენებულია ორგანული სოფლის მეურნეობის მეთოდები, რომლებიც რეგულირდება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ბიორეგულაციებით.

ნიადაგის კვლევა

კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონის („ჯუგაანის მიწები“, სოფ. ტიბაანი) ნიადაგების ინვენტარიზაცია და მათი რაციონალური გამოყენება” განხორციელების მიზნით, საველე კვლევებისთვის ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები.

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების კვლევისა და შედეგების დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადმოცემული თავთავიანი კულტურების ძირითადი დაავადებების შესწავლა ბუნებრივ და ხელოვნურ ინფექციურ ფონზე.

ფერმერთა ცნობიერების ამაღლება

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, „თხილის წარმოების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ტრეინინგები ჩატარდა და რეკომენდაციები გაიცა ფერმერთათვის თხილის ჯიშების შერჩევის, სარგავი მასალის წარმოების, თხილის ბაღების გაშენების, მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღების, პირველადი სასაქონლო დამუშავებისა და თხილის ბაღებში ჩასატარებელი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებების შესახებ.

ექსტენციის პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში), სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლებისა და ფერმერებისთვის ჩაატარეს ტრეინინგები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის საკითხებზე (სულ გადამზადდა 50-მდე ფერმერი). სასწავლო ტრეინინგები ჩატარდა მეთევზეობისა და მეფუტკრეობის საკითხებზეც.

ქართული ღვინო
ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

რთველი 2013–2016

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა, გლეხის კონკურენტუნარიანად ჩამოყალიბება და კერძო სექტორის ინტერესების დაცვა მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა.

2013-2016 წლებში რთველის წარმატებით ჩატარების მიზნით, ამოქმედდა სუბსიდიისა და შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა.

2013 წელს პირველად დაინერგა გადამუშავებული ყურძნის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული პროგრამა. პროგრამა საშუალებას იძლევა, ყურძნის ჩამბარებელ თითოეულ პუნქტში ოპერატორმა ელექტრონულ ბაზაში შეიყვანოს სრული ინფორმაცია ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირისა და ყურძნის მიმღები ღვინის კომპანიის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობის, ჯიშისა და ფასის, მათ შორის სუბსიდიის თანხის ოდენობის თაობაზე.

2013 წელს გადამუშავდა 93 ათას ტონამდე ყურძენი, სუბსიდირებული ყურძნის რაოდენობამ 90 ათას ტონას მიაღწია, სუბსიდიის თანხამ 32 მლნ ლარი შეადგინა. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 109 მლნ ლარს მიაღწია.

2014 წელს გადამუშავდა 123 ათასი ტონა ყურძენი. სუბსიდირებული ყურძნის რაოდენობამ შეადგინა 108 640 ტონა, ხოლო სუბსიდიის თანხამ, 32 მლნ ლარი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 170 მლნ ლარს გადააჭარბა.

2015 წელს გადამუშავდა 148,3 ათასი ტონა ყურძენი. სუბსიდირებული ყურძნის რაოდენობამ შეადგინა 122,700 ტონა, ხოლო სუბსიდიის თანხამ, 35,7 მლნ ლარი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 107,4 მლნ ლარს გადააჭარბა.

2015 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო რთველის ორგანიზებულად ჩატარება და ბოლო 25 წლის მანძილზე რეკორდული რაოდენობის ყურძნის გადამუშავება.

2016 წელსაც უხვ მოსავალს ელოდებიან კახეთში - სავარაუდოდ 200 ათას ტონამდე. აქედან 134,3 ათას ტონამდე რქაწითელი, 54,4 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე კახური მწვანეა, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

რთველი - 2016

საქართველოს მთავრობამ მევენახე გლეხების ინტერესის გათვალისწინებით და ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რთველი 2016-ის ფარგლებში სუბსიდიის გაცემის გადაწყვეტილება მიიღო. გასული წლის მსგავსად, სახელმწიფო სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე. ღვინის კომპანიებში ჩაბარებულ ყურძენზე სუბსიდია გაიცემა შემდეგი ოდენობით: კახეთის რეგიონში: • 1 კგ. რქაწითელი- 45 თეთრი; 1 კგ. კახური მწვანე - 45 თეთრი; • 1 კგ. საფერავი - 20 თეთრი;

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე ქართული ღვინო, წარმოდგენილი იყო 200-მდე საერთაშორისო გამოფენასა და ღონისძიებაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში - მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, იაპონიაში, აშშ-ში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და სხვა. მოეწყო ათობით ღვინის ტური მედიისა და ღვინის პროფესიონალებისთვის. გამოფენების პარალელურად, ტარდება ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარები ღვინის პროფესიონალებისთვის, მედიისა და ღვინის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე პროფესიონალებისა და მოყვარულების წინაშე 3 ძირითადი გზავნილით წარსდგება:

1. „საქართველო ღვინის აკვანი“ - რაც დაფუძნებულია მრავალ ისტორიულ და არქეოლოგიურ ფაქტსა და წყაროზე, რომ საქართველო მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული, ათასწლეულებით დათარიღებული მრავალი ექსპონატი.
2. „8 ათასი უწყვეტი რთველი“ - საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 8 ათასი წლის წინ დაიწყეს ღვინის წარმოება და დღემდე ამ პროცესს წყვეტა არ ჰქონია, განსხვავებით არაერთი სხვა ქვეყნისგან, სადაც საქართველოს მსგავსად უძველესი დროიდან აწარმოებდნენ ღვინოს, თუმცა შემდგომში ეს კულტურა ვეღარ განვითარდა.
3. 500-ზე მეტი უნიკალური ადგილობრივი ჯიში - ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით საქართველო მართლაც გამორჩეული და უნიკალურია მსოფლიოს მეღვინეობით განთქმულ ქვეყნებს შორის. საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500 ზე მეტი ქართული ჯიში, ასეთი მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში კულტურული მევენახეობა ათასწლეულებს ითვლის. შესაბამისად, ჯიშთა მრავალფეროვნება განაპირობებს ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და გემოვნური თვისებების სიუხვეს.

კახეთის რეგიონი
2013–2016 წლებში განხორციელებული პროექტები

ცალკე სეგმენტად გამოიყოფა ქართული ქვევრის ღვინო. ქვევრის ღვინის დამზადებას უნიკალური წესი და ტრადიცია აქვს. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს უწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

2014 წლის მარტში საქართველომ უმასპინძლა ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას, ხოლო 2014 წლის აგვისტოში ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მასშტაბურ პლენარულ სხდომას.

2014 წლის აპრილიდან 2015 წლის აპრილამდე საქართველო იყო WWTG-ს თავმჯდომარე ქვეყანა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით ფესტივალები და კონკურსები იმართება საქართველოში: „ახალი ღვინის ფესტივალი“, „Wine Expo“, „Telavino“ და სხვა.

2014 წლის 4 ოქტომბერს, თბილისსა და თელავში პირველად აღინიშნა „ქართული ღვინის დღე“. 2015 წლის 4 ოქტომბერს, „ქართული ღვინის დღისადმი“ მიძღვნილმა საზეიმო ღონისძიებებმა მასშტაბური სახე მიიღო და თბილისში, თელავში, ქუთაისში, რუსთავსა და ამბროლაურში გაიმართა.

„ქართული ღვინის დღის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფისში „ქართული ღვინის ცენტრი“ საზეიმოდ გაიხსნა. „ქართული ღვინის ცენტრში“ ერთიანდება მცირე მუზეუმი, ენოთეკა, მარანი, სპეციალიზირებული ბობლიოთეკა, სადეგუსტაციო ოთახები და სასწავლო აუდიტორიები.

მცირე მუზეუმში წარმოდგენილია ძვ.წ.აღრიცხვის III-II ათასწლეულიდან დაწყებული თანამედროვეობით დამთავრებული, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ექსპონატები და ქართული ღვინოების მიერ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და დეგუსტაციებში მიღებული მედლები და ჯილდოები. ენოთეკაში შემონახულია 24 ათასი ბოთლი სხვადასხვა დასახელების ღვინო.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტო აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას ახორციელებს აშშ-ში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს აშშ-ში ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ღვინის მაგისტრის, ლიზა გრანიკის მარკეტინგულ კომპანია „Tastingworks“-თან, რის საფუძველზე აღნიშნული კომპანია იღებს ვალდებულებას ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე განახორციელოს მარკეტინგული კამპანია, რაც უწყობს ხელს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებასა და პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მარკეტინგული აქტივობები ჩინეთის მიმართულებითაც. ჩინეთში ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი კონტაქტორი მარკეტინგული კომპანიაა „Meiburg Wine Media”, რომლსაც ხელმძღვანელობს ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი. ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით გახსნილია რამდენიმე ათეული სხვადასხვა ობიექტი. 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 184% შეადგინა, სულ განვლილ 8 თვეში ექსპორტირებულია 3 368 361 ბოთლი. პირველად ქართული ღვინის ექსპორტის ისტორიაში, მიმდინარე წლის აგვისტოში ჩინეთმა ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გადაასწრო ისეთ ტრადიციულ ბაზარს, როგორიც უკრაინაა.

პოლონეთში აღსანიშნავია სააგენტოს კონტრაქტორი მარიუს კაპჩინსკის აქტივობები, რომელიც პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ინტერნეტ-გვერდის (vinisfera.pl) მთავარი რედაქტორი, ღვინის ჟურნალის (Vino) ჟურნალისტი და პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოფენის „ენო ექსპოს” კონკურსის თავმჯდომარეა.

ადგილობრივ და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მისი ცნობადობის ამაღლების მიზნით, მომზადდა ქართული ღვინის ლოგო და ბრენდბუქი (კორპორატიული დიზაინი), რომელიც განსაზღვრავს ქართული ღვინის საპრომოციო მასალის საერთო სტილსა და დიზაინს, უზრუნველყოფს ყველა სახის ვიზუალური, საბეჭდი და სარეკლამო მასალის ერთ სტილში მოქცევას;

ექსპორტი

ქართული ღვინის ექსპორტის მთავარ გამოწვევად ბაზრების დივერსიფიკაცია და არსებულ ბაზრებზე ექსპორტის მოცულობის ზრდა წარმოადგენს. გარდა საერთაშორისო ბაზრებისა, უმნიშვნელოვანესია ადგილობრივ ბაზარზე ღვინის კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.

2013 წელს ექსპორტირებული იყო 46,7 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 2-ჯერ აღემატებოდა 2012 წლის ექსპორტის მონაცემებს. (2011 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 19 მლნ ბოთლი, დაახლოებით იმდენი რაც მიმდინარე წლის 8 თვეშია ექსპორტირებული). 2 ექსპორტი გაზრდილი იყო უკრაინაში (7%-ით), ყაზახეთში (1%-ით), ბელარუსიაში (2%-ით), პოლონეთში (12%-ით), ინგლისში (61%-ით), ლიტვაში (3%-ით), ჰონკონგში (16%-ით), ნიდერლანდებში (17%-ით), ფინეთში, სომხეთში, საფრანგეთში და ა.შ.

2014 წელს ბოლო 20 წლის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის - 60 მლნ ბოთლამდე ღვინო გავიდა ექსპორტზე.

ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი (34%), იაპონია (32%), გერმანია (23%), პოლონეთი (22%), ყაზახეთი (21%), ლატვია (18%), ბელარუსი (13%) და სხვა.

ღვინის ექსპორტმა თანხაში 184 927 801აშშ დოლარი ($) შეადგინა, რაც 30%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ

მაჩვენებელს.

2015 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს.

წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება წლის ბოლომდე შენარჩუნდა ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზარდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა.

ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზრდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: რუსეთი - 18 308 177, ყაზახეთი - 5 195 949, უკრაინა - 3 412 453, ჩინეთი - 2 672 154 და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი.

ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო 7 266 755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

2016 წლის 8 თვის მონაცემებით - 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 28 156 547 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 42%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 64,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი - 184% (3 368 361), უკრაინა - 75% (3 042 192), ბელარუსი - 47% (667 656), რუსეთი - 45% (14 664 610), პოლონეთი - 34% (1 367 960), ესტონეთი - 39% (413 364), ყირგიზეთი - 107% (163 966), აშშ - 10% (171 316) იაპონია - 12% (101 448), დიდი ბრიტანეთი - 65% (67 522), ლატვია 9% (772 926) და სხვა.

ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (14 664 610), ჩინეთი (3 368 361), უკრაინა (3 042 192) , ყაზახეთი (2 287 826 ბოთლი) და პოლონეთი (1 367 960).

ამასთან, მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4 804 910 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 31%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 11,03 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. ზრდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 12%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 108,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 8 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 82 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

ვენახების კადასტრის პროგრამა

პირველად საქართველოში, 2014 წელს ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამის - ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 2015 წელს კახეთში, ყვარლის რაიონში დაიწყო.

მომდევნო წლებში კადასტრის პროგრამა კახეთის ყველა რაიონს მოიცავს.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადაწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად - მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის პროექტი

2014 წელს სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართული და უცხოური ინსტიტუტების ერთობლივი კვლევების შედეგად.

პროგრამა 3-წლიანია და მის ფარგლებში ხორციელდება ახალი არქეოლოგიური გათხრების ხელშეწყობა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ვაზის ნაშთების სისტემატიზაცია, დათარიღება და ანალიზი; არქეოლოგიური მასალის ბიოქიმიური ტესტირება ღვინის ნაშთების აღმოჩენის მიზნით; ქართული მევენახეობა - მეღვინეობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის წარმოჩენა; თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ანალიზი და ა.შ.

ღვინის ლაბორატორიული კვლევა

შეიქმნა ღვინის ხარისხის კონტროლის, ანგარიშგებისა და სერტიფიცირების ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რაც პროდუქციის მოძრაობისა და ნაშთებზე ეფექტიანი კონტროლის გარანტია.

პროგრამის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციის გამოვლენა და მისი ექსპორტის აღკვეთა. ქვეპროგრამის ფარგლებში ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ხდება ლაბორატორიული კვლევის ჩატარება. აღნიშნულის განხორციელება ხელს უწყობს ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის ექსპორტის აღკვეთას.

საკანონმდებლო საქმიანობა

ღვინის ეროვნულ სააგენტოში დასრულდა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობა. ცვლილებების მიზანი ამ კანონის სრულყოფა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაა. კანონი ხელს შეუწყობს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებას, ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ქართული ვაზის ჯიშების, მეღვინეობის ქართული ტრადიციული მეთოდების გავრცელებასა და პოპულარიზაციას, მაღალხარისხიანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებასა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას.

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების ახალი წესები

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს ამოქმედდა ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების ახალი წესები. ცვლილებების შედეგად, ღვინის ეროვნულ სააგენტოს საშუალება მიეცა უფრო ეფექტიანად და კვალიფიციურად წარმართოს ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების, საინსპექციო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები. ახალი რეგულაციები ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

იმერელი კაცი, რომელმაც გურჯაანში მუხის კასრების წარმოების ტრადიცია აღადგინა

ვასიკო კალანდაძე, 2 შვილის მამა, პროფესიით იურისტი კაცია, რომელმაც, შეღავათიანი აგროკრედიტის დახმარებით, მივიწყებული დარგი აღადგინა და გურჯაანში მუხის კასრების მწარმოებელი საწარმო შექმნა.

დიდი ხნის წინ გაიგო, რომ გურჯაანში არსებობდა მიტოვებული ქარხანა, სადაც საბჭოთა დროს მუხის კასრებს ამზადებდნენ და ძველი საწარმოს აღდგენა და მისი განახლება ჩაიფიქრა.

2013 წელს, სატელევიზიო რეკლამიდან შეღავათიანი აგროკრედიტის შესახებ შეიტყო. თანამოაზრეები შემოიკრიბა და დაიწყო ის საქმე, რომელმაც, როგორ თვითონ აღნიშნავს, ცხოვრებისადმი მეტი ინტერესი გაუჩინა, რადგან მუხის კასრების წარმოება შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ეკონომიურადაც გეხმარება და სამსახურში მისვლაც გიხარია.

საწარმოში 630,000 აშშ დოლარის სრული ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც შეღავათიანი აგროკრედიტი 550,000 აშშ დოლარს შეადგენს.

ახალი კასრის წარმოებას შეღავათიანი აგროკრედიტის გარეშე ვერ შეძლებდნენ. თანამოაზრეები თავიდან მხოლოდ კასრების აღდგენას გეგმავდნენ, მაგრამ სახელმწიფოს დახმარებით, საშუალება მიეცათ ახალი კასრები ეწარმოებინათ.

ვასიკო კალანდაძე აღნიშნავს, რომ წელს პირველად გაიტანეს ქართული მუხის კასრი ექსპორტზე გერმანიაში და მომავალშიც გეგმავენ ამის გაკეთებას. საწარმოში მუშაობა

სეზონურია, რადგან ღვინო როდესაც „დავარგდება", მაშინ სჭირდება კასრში დაძველება. სწორედ მაშინ იწყება გაყიდვების გაზრდაც შპს „პროფესიონალური მეღვინეობის პროდუქტებისთვის".

სიამაყით ყვება, რომ საწარმოში 15 ადამიანია დასაქმებული და აღნიშნავს, რომ სანამ თანამოაზრეებთან ერთად წარმოებას დაიწყებდა, სპეციალურად წავიდა ესპანეთში, რათა ამ საქმის მცოდნე ადამიანი ჩამოეყვანა და ადგილობრივებისთვის ხელობა ესწავლებინა. ესპანეთიდან ჩამოიყვანა მუხის კასრების გამოცდილი მწარმოებელი, შემოიკრიბა ახალგაზრდა, 18-20 წლის ბიჭები და ეს საქმე ასწავლა. როგორც ვასიკო კალანდაძე აღნიშნავს, დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ახალგაზრდების ჩართულობა; ახალგაზრდებს საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება უნდა მიეცეთ.

საწარმოს საინტერესო სამომავლო გეგმები აქვს. აპირებენ, რომ კასრი, რომელიც უკვე აღარ გამოიყენება ღვინის შესანახად, სხვადასხვა დიზაინის დეკორატიულ ავეჯად გადააკეთონ.

ხარისხიანი ლაბორატორიული კვლევები რეგიონულ დონეზე – გურჯაანის რეგიონული ლაბორატორია

კახეთის რეგიონი მდიდარია სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსით, განსაკუთრებით კი, სახნავი და სათიბ-საძოვარი სავარგულებით. ამ კატეგორიის მიწის ფართობის მიხედვით, კახეთს პირველი ადგილი უკავია საქართველოში, რამაც იგი მევენახეობისა და მეცხოველეობის წამყვან რეგიონად აქცია. რესურსის სწორად ასათვისებლად კი, მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებისათვის შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივ დონეზე გაიზარდოს.

ერთ-ერთი ასეთი სერვისი ლაბორატორიული კვლევების წარმოებაა, რომელიც აუცილებელია, როგორც ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების კონტროლისათვის, ასევე, ზარალის თავიდან ასაცილებლად.

კახეთის რეგიონს ლაბორატორიულ მომსახურებას გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია უწევს. რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, გურჯაანის ლაბორატორიაში, 2012 წლიდან დღემდე უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები.

პირველ რიგში, მომხმარებელთა მოთხოვნების საფუძველზე, მოხდა ლაბორატორიული კვლევების სპექტრის გაფართოება, არსებული მეთოდების განვითარება და ახლის შემუშავება აკრედიტაციის სფეროში დასამატებლად. მსგავსი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონისათვის, ვინაიდან საშუალებას იძლევა მოსახლეობამ შესაბამისი დონის სერვისი ადგილზევე და ნაკლები ძალისხმევის ხარჯზე მიიღოს.

ცხოველთა დაავადებების (მათ შორის, განსაკუთრებით საშიში ინფექციების) პირველად დიაგნოსტიკასთან ერთად, გურჯაანის ლაბორატორიის პერსონალმა აითვისა სურსათისა და წყლის, როგორც მიკრობიოლოგიური, ასევე ქიმიური კვლევის მეთოდები; რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2015 წლიდან წარმოებს მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკაც. ეს კი, საშუალებას იძლევა, კვლევების ჩატარება ერთიანი ციკლით, სრული სპექტრით განხორციელდეს.

კვლევების ჩამონათვალის გაზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ლაბორატორიაში არსებული მეთოდები საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. აქედან გამომდინარე, მააკრედიტებელი ორგანოს - ANAB-ის მიერ - 2016 წლის იანვარში განხორციელებული ვიზიტის დროს, პროგრამაში გურჯაანის ლაბორატორიაც შევიდა და მას საერთაშორისო ISO 17025 სტანდარტზე აკრედიტაცია მიენიჭა.

ამჟამად, გურჯაანის ლაბორატორიაში არსებული სააკრედიტაციო სფერო მოიცავს:

- 7 მეთოდს სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური კვლევებისათვის;
- 7 მეთოდს სურსათისა და წყლის ზოგად ქიმიური კვლევებისათვის;
- 3 მეთოდს ვეტერინარული დაავადების დიაგნოსტიკისათვის (ჯილეხი, ბრუცელოზი, კალიფორნიული მასტიტი);

საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭებით, მოცემული მეთოდებით ჩატარებული კვლევები უდავოდ ხდება სარწმუნო, გამოცდების შედეგები კი, უტყუარი და მიუკერძოებელი.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის ივლისში, გურჯაანის ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა ბრუცელოზის დამადასტურებელი დიაგნოსტიკის დანერგვაც. ბრუცელოზის დამადასტურებელი დიაგნოსტიკა, მანამდე, მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, ახალციხის ზონალურ ლაბორატორიებში ხორციელდებოდა. ამჟამად, ბრუცელოზის დაავადების დამადასტურებელი კვლევა (ფლუორესცენტული პოლარიზაციის მეთოდით (FPA)) უკვე ხორციელდება ადგილობრივ დონეზეც.

2016 წლის დასასრულისათვის, იგეგმება ფუტკრის პარაზიტული დაავადებების კვლევის დანერგვაც. ლაბორატორიისათვის უკვე შემუშავდა ამ დაავადებებზე პერსონალის გადამზადების პროგრამა; ფუტკრის დაავადებების დანერგვის შემდეგ, კახეთის რეგიონისათვის ლაბორატორიის პოტენციალის ათვისება უკვე სრულად იქნება შესაძლებელი.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის – გზამკვლევი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონსორციუმის მიერ USAID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია სურსათის მწარმოებლისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ამისთვის კი საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ. გზამკვლევი მოიცავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც მწარმოებელმა უნდა გაიაროს საკუთარი საქონლის ევროკავშირში შეტანისთვის და, ამავე დროს, ისარგებლოს ნულოვანი საბაჟო დაბეგვრით.

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ გაზეთის წინა ნომერში)

აფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები

სურსათის, ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს სისტემა HACCP-ის 7 პრინციპის შესაბამისად.

HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა არის სისტემა, რომელიც საფრთხეების იდენტიფიცირებით და მათი კონტროლის განხორციელებით უვნებელი სურსათის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. HACCP-ი გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის წინასწარ დადგენას და მათი პრევენციის, აღმოფხვრის ან მისაღებ დონემდე დაყვანისთვის საჭირო ქმედებების დაწესებას.

HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვამდე, საწარმომ უნდა უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის მართვის სხვა სისტემები. სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის არქიტექტურა შემდეგნაირია:

1. პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა
2. წარმოების სანიმუშო პრაქტიკა
3. წინასწარი აუცილებელი პროგრამები
4. HACCP

პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა

პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა გულისხმობს შემდეგი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ კოდექსი.
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივნისის N173 დადგენილების 1-ლი დანართი - სურსათი/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი(მე-16 მუხლი). აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს მათ შორის ჩანაწერების წარმოებას.

შესაბამისად, პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს:

- ცხოველთა ჯანმრთელობა
- ვეტერინარული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
- ცხოველის საკვები
- ცხოველთა იდენთიფიკაცია
- მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სწორი გამოყენება
- შენობა-ნაგებობებისა და დანადგარების სანიტარული მდგომარეობა
- პერსონალის ჯანმრთელობა და ქცევის წესები
- ჩანაწერების წარმოება
- წარმოების სანიმუშო პრაქტიკა

წარმოების სანიმუშო პრაქტიკა გულისხმობს საწარმოს მიმართ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებს და ეს მოთხოვნები ვრცელდება ყველა სახის საწარმოზე.

საწარმოს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ითვალისწინებს:

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივნისის N173 დადგენილების 1-ლი დანართი - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი. აღნიშნული მოთხოვნები აღწერილია წინამდებარე დოკუმენტში : „ ჰიგიენური მოთხოვნები სურსათის მწარმოებელი საწარმოების მიმართ.“
- ISO/TS 22002-1 სურსათის უვნებლობის წინასწარი აუცილებელი პროგრამები გადამამუშავებელი მრეწველობისთვის.

წინასწარი აუცილებელი პროგრამები

წინასწარი აუცილებელი პროგრამები არის კონკრეტული მიზნით შექმნილი და მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული დეტალური ინსტრუქციები კონკრეტული სამუშაოს სტანდარტიზებული შესრულების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, წინასწარი აუცილებელი პროგრამები გულისხმობს დეტალური ინსტრუქციების შემუშავებას ამა თუ იმ სამუშაოსთვის. მაგალითად,სამუშაო ინსტრუქციები უნდა შემუშავდეს შემდეგი სახის აქტივობებისათვის:

- პერსონალის პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები
- დასუფთავება,რეცხვა-დეზინფექცია
- ნარჩენების მართვა
- მომწოდებლების და ნედლეულის კონტროლი
- ჯვარედინი დაბინძურების პრევენციის ზომები
- მავნებლების კონტროლი
- ბაზრიდან პროდუქტის ამოღების პროცედურები
- დასაწყობების წესები
- მიკვლევადობა
- და სხვა

HACCP

HACCP არის მეცნიერებაზე დაფუძნებული პრევენციული სისტემა, რომელიც ფოკუსირებულია სურსათის უვნებლობაზე და არა ხარისხზე. ეს სისტემა განსაზღვრავს კონკრეტულ ფაქტორებს,რომლებიც უნდა გაკონტროლდეს პრობლემების წარმოშობის თავიდან აცილების ან მათი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით . აღნიშნული სისტემა საწარმოსათვის არის თვითკონტროლის მექანიზმი ,რომლის საშუალებითაც ხდება უვნებელი სურსათის წარმოება და დოკუმენტურად დადასტურება იმისა,რომ მისი წარმოება უვნებლად მოხდა.

კოდექსით გათვალისწინებული HACCP-ის პრინციპები სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის – გზამკვლევი

მნიშვნელოვანია, რომ HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა არ არის სავალდებულო იმ ბიზნესოპერატორისათვის, რომელიც პირველად წარმოებას ახორციელებს.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსში აღნიშნულია,რომ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებისა და გადამუშავების სახეები, რომელთათვისაც სავალდებულოა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა,განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამჟამად, არსებობს მხოლოდ ერთი დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს გადამუშავების იმ სახეებს, რომლებსაც მოეთხოვება ამ სისტემის დანერგვა: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ. აღნიშნული დადგენილების თანახმად, HACCP პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა მოეთხოვება მხოლოდ იმ ბიზნესოპერატორს, რომელიც წარმოადგენს სასაკლაოს ან ახორციელებს ნედლი რძის თერმულ დამუშავებას. შესაბამისად, ამჟამად, სხვა ტიპის საწარმოებს არ მოეთხოვება ამ სისტემის დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებაა HACCP პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შემოწმება მისი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. სურსათის ეროვნული სააგენტო HACCP - ის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემას ამოწმებს საწარმოო ინსპექტირების დროს.

2015 წლის 1 იანვრიდან ინსპექტირების დროს HACCP პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოიწვევს საწარმოს დაჯარიმებას.

HACCP-ის დანერგვამდე აუცილებელია შემდეგი მოსამზადებელი ეტაპების გავლა:

- HACCP-ის ჯგუფის შექმნა
- სურსათის და მისი შენახვა-დისტრიბუციის პირობების აღწერა
- პროდუქტის მიზნობრივი გამოყენებისა და პროდუქციის მომხმარებელთა განსაზღვრა.
- ბლოკ-სქემების შემუშავება
- შემუშავებული ბლოკ-სქემების გადამოწმება.

HACCP შედგება 7 ეტაპისაგან 7 პრინციპის გათვალისწინებით:

1. საფრთხის ანალიზის შეფასება(საფრთხის დადგენა და შეფასება)
2. კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა
3. კრიტიკული ზღვრების დაწესება
4. მონიტორინგის პროცესის დაწყება
5. მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება
6. გადამოწმების ქმედებების დაწესება
7. ჩანაწერების წარმოების პროცედურების დაწესება.

სურსათში, სურსათის წარმოების ნებისმიერ ეტაპსა და პროცესში რაიმე ცვლილებისას ბიზნესოპერატორი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემაში.

საფრთხის ანალიზი გულისხმობს კონკრეტულ სურსათთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და შეფასებას იმის დასადგენად,რომელია უფრო მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი HACCP-ის გეგმაში. თითოეული მნიშვნელოვანი საფრთხისთვის სათანადო საკონტროლო ზომის(ზომების) განსაზღვრა უნდა მოხდეს, თუმცა საფრთხის წარმოშობის პირველივე ეტაპზე შეიძლება არ იყოს აუცილებელი საკონტროლო ზომის შემუშავება. საკონტროლო ზომების მაგალითებია: პასტერიზაცია, თერმული დამუშავება, ვიზუალური დაკვირვება, ტემპერატურის კონტროლი და ა.შ.

საფრთხის ანალიზი, კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა და მათზე შიდა საწარმოო კონტროლის დაწესება სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებაა, რომელიც ხორციელდება შემდეგი სქემატურ-ლოგიკური თანმიმდევრობით:

- სამუშაოს ორგანიზება
- პროდუქტის აღწერა
- პროდუქტის დანიშნულების დადგენა
- პროცესის ბლოკ-სქემის აგება
- ბლოკ-სქემის პროცესის დაზუსტება
- პოტენციურად საშიში ფაქტორების ჩამონათვალის შედგენა
- საკონტროლო კრიტიკული წერტილების განსაზღვრა
- თითოეული კრიტიკული საკონტროლო წერტილისთვის კრიტიკული ზღვრების დადგენა
- თითოეული კრიტიკული საკონტროლო წერტილისთვის მონიტორინგის სისტემის შემუშავება
- მაკორექტირებელი ქმედებებისა და გადამოწმების გეგმის შემუშავება
- პროცედურების დოკუმენტური სახით გაფორმება და მონაცემთა რეგისტრირება.

კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა წარმოებს საფრთხის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია, რომ საფრთხის ანალიზი ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძვლებს და განხორციელდეს მულტიდისციპლინური (ჰიგიენური, ვეტერინარული, ტოქსიკოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ტექნოლოგიური, ქიმიური და სხვა) მიდგომის საფუძველზე .

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის გეგმის შესასრულებლად აუცილებელია სამუშაო ინსტრუქციებისა და პროცედურების შემუშავება, სადაც განსაზღვრული უნდა იქნეს თითოეულ კრიტიკულ საკონტროლო წერტილზე მომუშავე პერსონალის ვალდებულებები.

საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენისას უნდა მოხდეს:

- ექსპერტის აზრის მოძიება საფრთხესთან ასოცირებული რისკის შესახებ.
- სურსათის სრული აღწერა (შემადგენლობა, ფიზიკურ-ქიმიური სტრუქტურა, დამუშავების სახეები, დაფასოება, ვარგისიანობა, შენახვის პირობები და დისტრიბუციის ვადები)
- სურსათის გამოყენების/დისტრიბუციის ყველა საფეხურის სქემის შექმნა(ბლოკ-სქემა)
- თითოეულ საფეხურზე პოტენციური საფრთხეების განსაზღვრა, საფრთხის ანალიზი და მის საფუძველზე კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა.

კრიტიკული საკონტროლო წერტილების რაოდენობა დამოკიდებულია: პროდუქტის სახეობაზე, ინგრედიენტებზე, გადამუშავების მეთოდებზე, წინასწარ არსებულ აუცილებელ პროგრამებზე. კრიტიკული საკონტროლო წერტილების არასაკმარისმა რაოდენობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სურსათის უვნებლობას, ხოლო ზედმეტმა რაოდენობამ გაართულოს სურსათის უვნებლობის კონტროლი.

კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენის შემდგომ უნდა მოხდეს მათ გასაკონტროლებლად საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და თითოეული საკონტროლო წერტილისთვის კრიტიკული ზღვრების დადგენა. კრიტიკული ზღვარი არის ბიოლოგიური,ქიმიური,ან ფიზიკური პარამეტრის ის მაქსიმალური ან/და მინიმალური დონე,რომლის კონტროლი უნდა მოხდეს კრიტიკული საკონტროლო წერტილის ეტაპზე დადგენილი საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან მისაღებ დონემდე დაყვანის მიზნით. მაგალითად,სურსათის მოსამზადებლად საჭირო დრო, ტემპერატურა, საწარმოო ხაზის სიჩქარე და ა.შ. თითოეული საკონტროლო წერტილისთვის დასაშვებია განისაზღვროს ერთზე მეტი კრიტიკული ზღვარი.

ძალიან მნიშვნელოვანია შიდა საწარმოო მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა კრიტიკული საკონტროლო წერტილებისათვის (საკონტროლო წერტილებზე უნდა დაწესდეს შიდა საწარმოო მონიტორინგი). შიდა საწარმოო მონიტორინგის რეჟიმი უნდა შეირჩეს კონკრეტული საკონტროლო წერტილისთვის დადგენილი ცალკეული საფრთხისათვის. გასათვალისწინებელია ,რომ შიდა საწარმოო მონიტორინგის პროცედურების შედეგად ფიქსირდება კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე შიდა საწარმოო კონტროლის დაკარგვა; შესაბამისი ინფორმაცია დროულად უნდა ეცნობოს კომპეტენტურ პირებს,რათა თავიდან იქნეს აცილებული კრიტიკული ზღვრების დარღვევა.

შიდა საწარმოო მონიტორინგის საფუძველზე შესწორებების შეტანა ხდება უფლებამოსილი პირის მიერ დევიაციამდე,რათა გაატაროს მაკორექტირებელი ქმედებები. შიდა საწარმოო მონიტორინგთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი და დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი მონიტორინგის ჩამტარებელი პირის და/ან პირების მიერ.

საწარმოში წინასწარ უნდა არსებობდეს მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. მაკორექტირებელი ქმედებები უნდა განხორციელდეს დევიაციის არსებობის შემთხვევაში და შეიძლება მოიცავდეს:

- პროდუქციის იზოლაციას, მის შენახვას,შემდგომ გადამუშავებას, უტილიზაციას და/ან განადგურებას
- დევიაციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და კონტროლის პროცესების აღდგენას.

აუცილებელია, რომ სურსათის განადგურება იყოს დოკუმენტირებული სათანადო წესით.

გადამოწმების პროცედურების დანერგვა (მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებით მიღებული შედეგების გადასამოწმებლად) ხორციელდება საფრთხის კონტროლის ეფექტურობის შეფასების მიზნით და მოიცავს: პროდუქციის ნიმუშების აღებასა და ლაბორატორიულ კვლევებს/ტესტირებას, ხელსაწყოების დაკალიბრების ჩანაწერების შემოწმებას, კრიტიკული საკონტროლო წერტილების მონიტორინგის შედეგების ჩანაწერების შემოწმებას.

არსებობს HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებით შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტი - ISO 22000:2005-სურსათის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები, მოთხოვნები ზოგიერთი ორგანიზაციისათვის სურსათის სფეროში (Food Safety Management Systems- Requirements for any organization in the food chain).

(გაგრძელება იხილეთ მომდევნო ნომერში)

ევროკავშირი-საქართველო

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ალტერნატივას - მცდარია!

მართალია, ასოცირების შესახებ შეთანხმება ღიად ტოვებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს, თუმცა, შეთანხმების განხორციელება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ეს არის საქართველოს განვითარების ერთგვარი გეგმა, რომლის განხორციელების შემდეგაც, ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი, ფაქტობრივად, შეუქცევადი გახდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ზღუდავს და ღიად დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

შეთანხმებაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ისტორიული კავშირები და საერთო ღირებულებები, ევროკავშირი აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს - რაც თავის მხრივ, დადასტურებულია საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვის შედეგად: საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას.

ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ფასეულობებსა და ღირებულებებს: დემოკრატიას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას, ასევე, კანონის უზენაესობას - შეუძლია განაცხადი გააკეთოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის კანდიდატ ქვეყანას უნდა გააჩნდეს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველმყოფი ინსტიტუტები, პატივს უნდა სცემდეს ადამიანის უფლებებსა და უმცირესობებს, უზრუნველყოფდეს მათ დაცვას. ამასთან, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც კონკურენტუნარიანი უნდა იყოს ევროპის შიდა ბაზარზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება და შეთანხმებით გათვალისწინებული მაღალი ევროპული სტანდარტების დანერგვა, ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს შეუქცევადს ხდის.

რჩევა ფერმერისთვის – ვაზის მავნებლები და დაავადებები

ვაზის მავნებელ-დაავადებათა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდოლოგია გულისხმობს ინტეგრირებულ მიდგომას. ვაზის ინტეგრირებული დაცვის სისტემა არის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის აგროტექნიკური, სელექციური, ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ბიოტექნიკური დაცვის მეთოდები. ამ ქმედებების საბოლოო მიზანია ქიმიურ წამლობათა რაოდენობის შემცირება და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების გაზრდა.

1. **აგროტექნიკური მეთოდის** მიზანია შექმნას დაავადებათა გამომწვევი პათოგენებისა და მავნებლების განვითარებისათვის არახელსაყრელი, ხოლო დასაცავი მცენარისათვის ხელსაყრელი პირობები და გულისხმობს შესაბამის ვადებში ჩასატარებელ ღონისძიებებს: ნიადაგის დამუშავებას, სხვლას, ზედმეტი ყლორტების და ნამხრევების შეცლას, ყლორტის შეჭრას, დროულად „ცის გახსნას“, სასუქების სწორად გამოყენებას, სარეველების მოსპობას, მოსავლის აღების ვადების ზუსტ დაცვას, ნარჩენების მოსპობას და ა.შ.

2. **სელექციური მეთოდი** გულისხმობს დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშების გამოყენებას. ამ ჯიშებში გაძლიერებულია ისეთი თვისებები, რომლებიც შეუვალს ხდიან მათ მავნე ორგანიზმებისათვის.

3. **ფიზიკურ-მექანიკური მეთოდია** ვაზის შტამბზე ამსკდარი ძველი ქერქის მოცლა, ვენახიდან გატანა და დაწვა. ამ ღონისძიების დროს დიდი რაოდენობით ნადგურდებიან ვაზის ცრუფარიანები, ტკიპები, ყურძნის ჭიის ჭუპრები. მეთოდი ეფექტიანი ბუკნას (კვირტის ჭიის) წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუკნას მატლების დიდი რაოდენობა ზამთრობს რქების წვეროს გულში, რის გამოც აუცილებელია შემოდგომით ან გაზაფხულზე ვაზის ანასხლავის დაწვა.

4. **ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი** გულისხმობს მავნებელთა ბუნებრივი მტრების-მწერების, ტკიპების, ფრინველების და სხვათა გამოყენებას. აღსანიშნავია ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების და სხვა ბაზაზე დამზადებული მიკრობიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც საკმაოდ ეფექტიანი არიან ყურძნის ჭიისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ. საქართველოს ბაზარზე ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ბიოლოგიური პესტიციდები.

5. **მცენარეთა დაცვის თანამედროვე მეთოდებიდან** მნიშვნელოვანია ბიოტექნიკური მეთოდი, როდესაც ისეთი საშუალებები გამოიყენება, რომლებიც უშუალოდ კი არ სპობენ მავნე ორგანიზმებს, პირველ რიგში მავნე მწერებსა და ტკიპებს, არამედ ხელს უწყობენ ამა თუ იმ გზით მათი მავნეობის ლიკვიდაციას ან შესუსტებას. პირველ რიგში აღსანიშნავია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთ-ერთი ჯგუფი - ფერომონები. ცნობილია, რომ მწერები სპეციალურ ჯირკვლებიდან გამოყოფენ სუნიან ნივთიერებებს-ფერომონებს, რომლებიც ჰაერის ნაკადის საშუალებით ვრცელდებიან გარემოში და საპასუხო რეაქციებს იწვევენ იმავე სახეობის ინდივიდებზე. ფერომონიანი სქესმჭერების საშუალებით იოლად დგინდება ნაკვეთზე პეპლების გამოფრენის ზუსტი თარიღი, დასახლების სიმჭიდროვე, გავრცელების არეალი, მავნებლის რიცხოვნობა და, შესაბამისად, ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენების შესაბამისობა.

6. **ვაზის მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის** ყველაზე ეფექტიანი მეთოდად მაინც ქიმიური მეთოდი ითვლება. საქართველოში ინტენსიურად გამოიყენება პესტიციდები, როგორც მოსავლიანობის ზრდის და მისი ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი წყარო, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა შეირჩეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მაღალ ეფექტიანობასთან ერთად ნაკლებ ტოქსიკურნი იქნებიან სასარგებლო ორგანიზმებისა და ადამიანისათვის, ნაკლებად დაანაგვიანებენ ბიოსფეროს. უმნიშვნელოვანესი გარემოება გახლავთ ქიმიური საშუალებების გონიერი, მიზანმიმართული გამოყენება, რაც, პირველ რიგში, შექმნილი ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, მოსავლის შემცირების ფაქტიური საშიშროების ანუ შესხურების აუცილებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. ამ უკანასკნელში იგულისხმება მავნებლობის კრიტერიუმი, ანუ ეკონომიკური ზღვარი, როდესაც ჩატარებული ღონისძიების ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს ამ ღონისძიების შედეგად შენარჩუნებული მოსავლის ღირებულებას.

ვაზის ძირითადი დაავადებები

ვაზის ჭრაქი აზიანებს მცენარის მიწისზედა ორგანოებს. ნორჩი ფოთლების ზედა მხარეს ჯერ ქლოროზული, შემდეგ კი ზეთოვანი ლაქები წარმოიქმნება, ლაქები ერწყმიან ერთმანეთს, რის გამოც ფოთლოვანი ფირფიტის დიდ ნაწილს ფარავენ.

ფოთლის ქვედა მხარეს ლაქებზე ჩნდება თეთრი ნაფიფქი, რომელიც დაავადების გამომწვევ უნაყოფო სპორომატარებელს წარმოადგენს. ხშირად ნაფიფქი თავს იჩენს ლაქების წარმოქმნამდე და პირიქით. მშრალ ამინდში ნაფიფქი შესაძლებელია ადრეც წარმოიქმნას. დაზიანებული ფოთლები ხმება და ცვივა. ავადმყოფობის განვითარების ხელსაყრელი პირობების დროს ავადდებიან მწვანე ყლორტები, ულვაშები, მტევნები, დაავადებული მარცვლები მუქდება, ხოლო ყუნწის ირგვლივ იისფერი არშია წარმოიქმნება.

ვაზის ნაცარი ვითარდება მცენარის ვეგეტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში და აზიანებს მწვანე ორგანოებს. ფოთლის ზედა მხარეზე წარმოიქმნება მონაცრისფრო, ადვილად მოსაცილებელი ნაფიფქი, რომელიც ქვედა მხარეზე, ასევე ყუნწზე და მტევანზე გადაედება. გარკვეული დროის შემდეგ, ფოთლებზე მკვდარი ქსოვილის მუქი უბნები წარმოიქმნება, მარცვლებზე ვითარდება მკვრივი ნაცრისფერი ნაფიფქი. დაავადების ადრეულ ფაზაში მარცვლები წყვეტენ ზრდას, ხმებიან, მაგრამ მათი ცვენა არ ხდება. უფრო გვიანდელი გამოვლინების დროს მარცვლები სკდება, რის გამოც მათზე სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმები სახლდებიან.

ვაზის ანთრაქნოზით მიწისზედა ნაწილში არსებული ყველა ორგანო ავადდება. ფოთლებზე წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაცრისფერი ლაქები, გარშემორტყმული მოწითალო რუხი ფერის არშიით. დაზიანებული ქსოვილები იშლება და ცვივა, ფოთლები განიცდიან დაფაცხავებას. ლაქები ფორმირდება აგრეთვე ფოთლის ძარღვებზეც, ეს კი არღვევს გამტარი სისტემის მოქმედებას. ფოთოლი ხმება და იწყებს ცვენას. ყვავილედის დაზიანების შემთხვევაში, მომრგვალო შავი ლაქები წარმოიქმნება. ყვავილები და ნასკვები მუქდება და ცვივა. მარცვლებზე ძოწისფერი არშიის მქონე იისფერი მრგვალი ნაჭდევისებრი ლაქები ჩნდება. შემდგომ პერიოდში მარცვლები დეფორმირდება, ხმება, მაგრამ მტევნიდან არ ცვივა. ყლორტებზე ლაქები გრძივია, ჩაზნექილი, შავი ფერის წყლულის მაგვარი. ყლორტების წვეროები ხმება და ნახშირდება.

ვაზის ნაცრისფერი სიდამპლის შემთხვევაში მარცვალი ზიანდება სიმწიფის პერიოდში, ზოგჯერ შენახვის დროს ავადდებიან კალმები და ნერგები, იშვიათად კი ფოთლები, ყლორტები და ყვავილედი. ნაცრისფერი სიდამპლე განსაკუთრებული ინტენსივობით ვრცელდება მაშინ, როდესაც ზაფხულის ხანგრძლივ გვალვას ჭარბი ნალექები მოჰყვება. ისინი წვენის აქტიურ მოძრაობას იწვევენ, ამის გამო ადგილი აქვს მარცვლების დასკდომას და მათზე დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები ადვილად სახლდებიან. მარცვლები მუქდება, რბილდება და ნაცრისფერი ბუსუსებიანი ნაფიფქით იფარება, რომელიც მიცელიუმს და კონიდიალურ სპორომატარებელს წარმოადგენს. პათოგენური პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, მტევნები რამდენიმე დღეში სრულიად ლპება.

რჩევა ფერმერისთვის – ვაზის მავნებლები და დაავადებები

ვაზის ფოთლების დახვევა ვირუსული დაავადებაა. მისი ძირითადი სიმპტომია ქვედა იარუსის ფოთლების კიდეების დახვევა. ფოთლები მკრთალდება, ზედაპირი უხეშდება, ეხვევა დაბლა მთავარი ძარღვის გასწვრივ.

დაავადება ვლინდება ზაფხულის დასაწყისში. აგვისტო-სექტემბერში შავი ყურძნის ფოთლები წითლდება, თეთრი ყურძნის ფოთლები ყვითელია, თუმცა, ვეგეტაციის ბოლოს წითელ ფერს ღებულობს. ნაყოფები მკრთალი შეფერილობისაა და შენელებულია მათი დამწიფება. მოსავლის დანაკარგები 10-20%-ს აღწევს.

ვაზის ფოთლების მუხლთშორისების დამოკლება (მარაოსებრი გადაგვარება) ყველაზე მეტად გავრცელებული ვირუსული დაავადებაა. მისი ძირითადი სიმპტომია მუხლთშორისების დამოკლება და ფოთლების გადაგვარება. ფოთლები მარაოსავითაა გაშლილი, დეფორმირებული, ზევით მიმართული, გოფრირებული. აშკარად შეინიშნება ჩვეულებრივი და გაყვითლებული ქლოროზები, მოზაიკური და მსხვილლაქიანი კანტები. ძარღვებიც გამოკვეთილია რგოლური და ხაზობრივი ლაქებით. დასენიანებული მცენარე ზრდაში ჩამორჩება, უვითარდება მცირე რაოდენობის, მომცრო ზომის მტევნები, რაც, თავისთავად, მოსავლიანობის მკვეთრ შემცირებას განაპირობებს. დაავადებული მცენარის მტევნები შედარებით გვიან მწიფდება. ზოგიერთი ჯიშისთვის დანაკარგები ზოგჯერ 80%-ს შეადგენს.

დაავადების ძირითადი გადამტანია ნიადაგში მცხოვრები ნემატოდები. დაავადების გამომწვევი აინფიცირებს ვაზის ყველა სახეობას.

ვაზის ძირითადი მავნებლები

ბუკნა ანუ კვირტის ჭია მასობრივად არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, ნაკლებად აღმოსავლეთში, თუმცა ბოლო წლებში აღნიშნულ რეგიონშიც საკმაო რაოდენობით გავრცელდა. ის როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ ვაზს აზიანებს, იკვებება მათი კვირტებითა და ფოთლებით. კერძოდ, კვირტს გარედან აზიანებს, შემდეგ კი შიგნით შედის. ასეთ კვირტს გარედან წითელი ხვრელი ემჩნევა. მთლიანი გამოღრღნის შემდეგ გადადის სხვა კვირტებზე და იწყებს ხელახალ დაზიანებას. მისი მასობრივი გამრავლებისას ვენახში 30%-მდე კვირტი ზიანდება.

ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა აზიანებს ვაზის მიწისზედა ორგანოებს: ფოთოლს, ყლორტს, მტევანს და შტამბს. ფოთოლზე ცრუფარიანა ძარღვების გასწვრივ სახლდება, ინტენსიურად წუწნის მტევნის, მარცვლის ყუნწს და თვით მარცვალსაც კი. დაზიანებული ფოთოლი ყვითლდება, მტევნები ჭკნება და ძირს ცვივა. ცრუფარიანას ექსკრემენტებზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებსა და მტევნებს აშავებს და გადასამუშავებლად უვარგისს ხდის. ცრუფარიანათი დაზიანებული ვაზი წლების მანძილზე ძლიერ კნინდება და ხმება. ცრუფარიანა ზამთრობს სხვადასხვა ასაკში შტამბზე, სარზე, ამსკდარი ქერქის ქვეშ, ფუღუროებში. გაზაფხულზე იწყებს კვებას, იზრდება, იცვლის კანს რამდენიმეჯერ და ზრდასრულ ფაზაში გადადის. ის კვერცხებს ათავსებს თავის მიერ გამოყოფილ ცვილისებრ ძაფებში, შტამბზე, შემდეგ თაობებში კი - ფოთლებსა და მათ ყუნწებზე, ყლორტის ფუძეში, ხოლო უკანასკნელი თაობის უმრავლესობა -მტევნებზე.

ყურძნის ჭიის პეპელა პატარა ზომისაა, ზედა მხრიდან მურა-ნაცრისფერია, გვერდებიდან და ქვედა მხრიდან – ღია-ნაცრისფერი. მონაცისფრო წინა ფრთები დაწინწკლულია, ყვითელი, ნაცრისფერი და მოლურჯო ლაქებით. უკანა ფრთები ღია ნაცრისფერია, ხოლო ფრთებს უკანა მხარეს ფოჩები აქვს. ულვაშები ძაფისებრია, შედარებით მსხვილი და უბეწვო. ფრთებგაშლილი პეპლის სიგანეა 10-13 მმ, სიგრძე - 4-5 მმ. ყურძნის ჭიის პირველი თაობა მატლი ყვავილედს აზიანებს – მას მატლი აბლაბუდის თხელ ძაფებში ახვევს, შიგნით ექცევა და ისე იკვებება. ყვავილობის დამთავრების შემდეგ მატლი ახალგამონასკვულ ნაყოფს და კლერტს აზიანებს, რის გამოც მტევანი მთლიანად ან ნაწილობრივ ხმება. ივლისის დასაწყისში მეორე თაობის მატლი ვითარდება და მწვანე მარცვლით იკვებება. ახალგამოჩეკილი მატლი მარცვლის ზედაპირზე მცირე ნაწილს ღრღნის: მოზრდილი კი მარცვალში იჭრება და მის რბილობს სპობს. ძლიერ დაზიანებული მარცვალი ძირს ცვივა, ხოლო ნაწილობრივ დაზიანებული სიმწიფემდე კი აღწევს, მაგრამ უმრავლესობა სიდამპლის გამომწვევი სოკოვანი დაავადებით იღუპება. მესამე თაობის მატლი შეთვალებული და მწიფე მარცვლის რბილობით იკვებება. ამ თაობის მატლების მიერ სუსტად დაზიანებული მარცვალი წვიმიან ამინდში სიდამპლის გამომწვევი სოკოების დასახლების გამო ლპება, რაც მოსავლის 40-50%-ის განადგურებას იწვევს. მნიშვნელოვანია ვაზის დროული გაფურჩქვნა, რადგან მავნებლის კვერცხების დიდი ნაწილი მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებით იღუპება.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა ძირითადად აზიანებს ვაზის ფოთლებს, რასაც მოჰყვება მათი გაუფერულება და ნაადრევი ჩამოცვენა. გამოზამთრებული ტკიპა გაზაფხულზე ჯერ ახალგაშლილ კვირტებს აზიანებს, ხოლო შემდეგ – ფოთლებსა და ყლორტებს. მავნებელი პირის მჩხვლეტავ-მწუწნი ორგანოთი წუწნის წვენს და უჯრედებში ქლოროპლასტებს ანადგურებს. გაუფერულებული ლაქები განსაკუთრებით ძარღვების გასწვრივ არის შესამჩნევი. ნაწუწნ ადგილებში ფოთოლსა და ყლორტზე მოშავო ყავისფერი ლაქები ჩნდება; დაზიანებული ყლორტები მთლიანად შავდება და იღუპება. მზარდი ფოთლის დაზიანებული ფირფიტა არათანაბრად ვითარდება, იკრუნჩხება და ცვივა. ტკიპებით დაზიანებულ ვენახებში მოსავალი 20%-ით მცირდება, ხოლო შაქრიანობა 3%-მდე ეცემა.

ვაზის ქეჩიანი (მეგალე) ტკიპა საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონშია გავრცელებული. მწერი მცირე ზომისაა. ძირითადად ვაზის კვირტებში, ქერცლის ქვეშ ზამთრობს. მეზამთრეობიდან გამოსვლა კვირტის გაშლის ფაზას ემთხვევა. ამ დროს ის თავსდება ნორჩ ფოთლებზე და იწყებს მათ დაზიანებას. კვების შედეგად ფოთლის ზედა მხრიდან ჩნდება ამონაბურცები, ხოლო ქვედა მხარეს, შეღუნულ ადგილებში ქეჩის მსგავსი ერთმანეთში გადახლართული ბეწვები. მასობრივი გამრავლების პერიოდში ისინი აზიანებენ კვირტებსაც, რის შედეგადაც, კვირტი იღუპეპა, ყლორტები კი სუსტად ვითარდება. გვალვის შემთხვევაში, ძლიერ დაზიანებული ფოთლები ხმება და ცვივა. ზაფხულის დასაწყისში ქეჩის მსგავსი ლაქები პირველად ღია ყვითელი, მოთეთრო ფერისაა, ხოლო შემდეგ მურა ფერს იღებს. ტკიპები ფოთლის ქვედა მხარეს, გალებში ცხოვრობენ, ვითარდებიან და წელიწადში 6-7 თაობას იძლევიან.

ამიერკავკასიის მარმარა ღრაჯა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აზიანებს მრავალ კულტურას, განსაკუთრებული ზიანი მოაქვს ვაზისთვის, მეტადრე სანერგეებსა და ახალგაზრდა ვენახებში. მატლები ნიადაგში ცხოვრობენ და ვნებენ როგორც ნორჩ, ისე ძველ ფესვებს. მთავარი ფესვის დაზიანების შემთხვევაში მცენარე ხმება. ხოჭოების გამოფრენა იწყება ივნისის ბოლოს აგვისტოს ბოლომდე, ძირითადად საღამოს და დილის საათებში.

ბრძოლის ღონისძიებები: როგორც სანერგის, ისე ვენახის გაშენების წინ საჭიროა ნიადაგის ზედაპირზე ამოყრილი მატლების მოკრეფა და განადგურება. აგრეთვე, ხვნის, ბარვის, თოხნისა და კულტივაციის დროს ჭუპრების შეგროვება და მოსპობა. განსაკუთრებით ეფექტიანი ეს ღონისძიება აპრილ-მაისში, რადგან მატლები ამ დროს ნიადაგის ზედაპირთან ახლოს იმყოფებიან.

ვაზის ფილოქსერა

ვაზის ოქროსფერი სილაქავე

პომიდვრის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

საქართველოში პომიდორი მე-18 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გავრცელდა და დღესდღეობით, ბოსტნეული კულტურებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით იწარმოება. საქართველოს ძირითად უპირატესობას პომიდვრის გემური თვისებები და არასეზონური წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატი წარმოადგენს.

პომიდვრისთვის ყველაზე კარგ ნიადაგად ითვლება ნოყიერი, სტრუქტურული, მსუბუქი თიხნარი, თიხა, კარგი წყალტევადობის ღრმა სახნავი ფენის ნიადაგები. მისთვის არ ვარგა ჰაერისა და წყლის ცუდი გამტარი, მჟავა და ტუტე ნიადაგები.

პომიდვრის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი და იმერეთი.

ადგილობრივი პომიდვრის მიწოდება ბაზარზე ივნისის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე ან ოქტომბრის დასაწყისამდეა ხელმისაწვდომი. დახურულ გრუნტში წარმოებული ადგილობრივი პომიდორი არასეზონურ პერიოდშიც არის ხელმისაწვდომი, თუმცა ამ პერიოდში პომიდვრის რაოდენობრივი მიწოდება ბაზარზე არც ისე მაღალია.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- ჩითილების წარმოების განვითარება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (სასათბურე კონსტრუქციები, მინის მასალები, გათბობის სისტემები, სარწყავი სისტემები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- ღია და დახურულ გრუნტში წარმოება
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება (პომიდვრის პასტა და სხვა)
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები, ქილები და სხვა)
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით

მოსავლიანობა

საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში			
სომხეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	ევროკავშირი
32%	73%	37%	23%

ექსპორტ-იმპორტი წლ. მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

იმპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორები

წარმოება წლების მიხედვით (ტონა)



წყარო: საქსტატი

საექსპორტო ბაზრები - 2015



წყარო: საქსტატი

საცალო საბაზრო ფასები თვეების მიხედვით - 2015 (ლარი/კგ)



წარმოება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი

იმპორტიორი ქვეყნები - 2015



წყარო: საქსტატი

ფინანსური მაჩვენებლები*	
ფართობი (სათბური)	1 ჰა
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი	1 850 000 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-3 წელი
IRR (8 წელი)	30 %